პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 64 (19805) სამშაბათი, 17 მარტი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ეგრომრეწვი: ყველა დარგის ინტენსიფიკაციისათვის

პარტიის მიერ დასახული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი ჩვენი წინსვლის დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა. მისი უზრუნველყოფა აგრომრეწვში შრომის ნაყოფიერების სწრაფი გადიდებით, დარგთა ინტენსიფიკაციით არის შესაძლებელი. როგორი მდგომარეობაა რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში, როგორ მიმდინარეობს სასურსათო პროგრამის რეალიზაცია, რა უნდა გაკეთდეს წინსვლისა და გარდაქმნისათვის — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე იყო საქმიანი მსჯელობა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის თათბირზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

მეცხოველეობა მძლავრად ვერ განვითარდება, ახალი ტექნოლოგიები და ზოოტექნიკური გადაწყვეტა უფუქტიანი ვერ იქნება, თუ ასთან ერთად მკვეთრად წინ არ წაიწევს მემცენარეობა. ახლა, გარდაქმნის დაჩქარების ამ პერიოდში მეცხოველეობისა და მემცენარეობის ერთობლივ ინტენსიფიკაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა ყოველდღიური საზრუნავი უნდა გახდეს.

მიწის სიუხვე თავად ადამიანზე, მის ბატონ-პატრონზეა დამოკიდებული; ადამიანის განსწავლულობაზე, ალღოზე, უნარზეა დამოკიდებული თავის დროზე გონივრულად გამოიყენოს ყოველივე ის, რაც ბუნებრივების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილებისაგან შეუთვისებია: მთავარზე მთავარი კი მიწისადმი ადამიანის კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა. უღალატებ მიწას? — ვერაფერსაც ვერ მიიღებ მისგან.

მახარაძის რაიონის ნატანების ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ყოველი გოჯი მიწა მოხავლის სიუხვის სამსახურშია. ხის პლანტაციებს თანამედროვე აგროწესების შინაგვით უკლიან და ხარისხოვანი ფოთლის უხვ მოსავალს იღებენ. ეს მიწისადმი ინტენსიური დამოკიდებულებაა, რამდენიმე წლის წინათ ყველა პლანტაციიდან როდი იღებდნენ მაღალხარისხოვან ნედლეულს. ამასთან, დაბალარგების და ფოთლის ხარისხის გაუარესების ფაქტებს ვხვდებოდით იმის გამოც, რომ ჩაის ფაბრიკაში ნედლეულის მიტანა ჭიანურდებოდა. ეს სერიოზული ხარვეზი გამოსწორდა — აშენდა ფაბრიკა, სადაც ნედლეული დაუყოვნებლივ მუშავდება. ჩაის პლანტაციები კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცების ძირითადი საფუძველია. მომგებიანია მეცხოველეობისა და მემცენარეობის ყველა დარგი; ამის მეოხებით ყოველწლიურად დიდძალ შემოსავალს იღებს კოლმეურნეობა. შრომის ანაზღაურებამ დიდად იმატა მას შემდეგ, რაც ოჯარული მეთოდი დაინერგა. ასე რომ, კარგმა შრომამ, კარგი ყოფა-ცხოვრება იცის. ნატანებელებმა თავიანთი სახსრებით აიგეს ნოვადსაგანმანათლებელო სამუალო და სამუსიკო სკოლები, საავადმყოფო, აფთიაქი, სპორტული ბაღები, დამხმარე საწარმოები, კულტურის დიდებული სასახლე, საუცხოო სპორტული კომპლექსი. ერთი სიტყვით, ნატანებს გარეგნულად თანამედროვე კულტურული, უაღრესად კეთილმოწყობილი სოფლის სახე აქვს, შრომელები ჩინებულ ფარ-მიდამოსა და სახლებში ქალაქურად ცხოვრობენ, იმაღლებენ ფიდონს, ეკულტურულად ერთობიან, ისვენებენ. ნატანებიდან ხშირად სამუშაოდ არავინ მიდის. ახალგაზრდებს შრომისა და დასვენების შესანიშნავი პირობები აქვთ. ამას ემატება ისიც, რომ საპენსიო არმიაში სამსახურის დროს ყოველთვიურად ენახებათ სამუალო ხელფასი, უმაღლეს სახსწავლებლად წასულ ახალგაზრდებს კარგი სწავლისათვის სტიპენდიას კოლმეურნეობა აძლევს. როგორ შეძლეთ ყოველივე ეს? — რომ ჩკითხოთ თავმჯდომარეს, სოციალისტური შრომის გმირს გივი ნიოლიძეს, დაუყოვნებლივ გიპასუხებთ: ჩვენს მიწის სიყვარულმა შეგვაძლებინა. მიწას თვალისჩინეთით ვუვლით, ეპატრონობთ. ნატანებელებმა ჭაობს მართლაც მტკაველ-მტკაველ გაბოტყაცეს მიწა და იქ მხოლოდ ის მოპაყავთ, რაც უფრო მეტ შემოსავალს მისცემთ. ერთი სიტყვით, მიწას გონიერი პატრონი უყვარს. ეს მარტივი ჭეშმარიტება სადაც კარგად გაიგეს, იქ ყველა დარგი ინტენსიურად ვითარდება და შემოსავლის მაქსიმუმს იღებენ.

რა თქმა უნდა, ინტენსიფიკაცია მარტო ნატანებელების კუთვნილება როდია. არ არსებობს საქართველოში რაიონი, სადაც ერთი, ორი და ზოგან უფრო მეტი საზოგადოებრივი მეურნეობა ეკონომიურად ძლიერი არ იყოს, ყოველი დარგის ინტენსიურად განვითარებისათვის საქმიანად იზრუნეს ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე კ. კიკალიშვილი) და კასპის რაიონის კოდისწყაროს საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი დ. გოგიჩაშვილი), მაგრამ დღეს ერთი-ორი და სამი მეურნეობის ეკონომიური სიძლიერე რაიონის საქმეს მთლიანად წინ ვერ წასწევს და ამტომაც ზოგან მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებები, რაისაბჭოს აღმასკომები დღენიადაგ იმისათვის უნდა ზრუნავდნენ, რომ ყველგან ყველა დარგი ინტენსიურად ვითარდებოდეს. ამისათვის მოწინავე მეურნეობების გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები შემოქმედებითად, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სრულყოფილად უნდა გამოიყენონ. დროა, მოწინავეებს სიტყვით კი არა, საქმით მივბაძოთ, ისწავლოთ მათგან. ამაში სათაკილო არაფერია. მეზობლისადმი კეთილგონიერი დახმარებისა და გამოცდილების არა მარტო გადაღებაში, არამედ სწავლებაში გამოდგება ახმეტის რაიონის ალვანის მეურნეობის ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის ნაზო პეტრიაშვილის მაგალითი. მან თავისი შრომის მეთოდები მეზობლებს ასწავლა და ბევრი სოფლის ბრიგადები დაანინაურა. ასეთი ხელმძღვანელები ყველა რაიონში არიან და აგროსამრეწველო გაერთიანებების საპატიო მოვალეობა ის არის, რომ მოწინავეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები ყველას კუთვნილებად აქციონ.

ყველა დარგის ინტენსიფიკაციისათვის დროზე და ჯეროვნად რომ ეზრუნათ საშუალო და სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, მაშინ ისინიც ამაღლებდნენ მოწინავეთა დონემდე, სოფლებიც მოღონიერდებოდნენ და შრომელთა ფუფუნებიც. ახლა, გარდაქმნის ამ დღეებში, ჩამორჩენილ და საშუალო მეურნეობებს აგროსამრეწველო გაერთიანებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, საქმიანად უნდა გააანალიზონ ჩამორჩენის მიზეზები, გამოსახონ აღმავლობის რეზერვები, რესურსები და, რაც მთავარია, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებით წელსვე მიიღონ სასურველი შედეგი, რათა ხუთწლედის ბოლოსათვის იქ შეიქმნას ძლიერი ეკონომიკური საფუძველი მდგომარეობის ძირეული გარდაქმნისათვის.

ბოლო წლებში ზოგი მეურნეობა ეკონომიკურად დასუსტდა. აქ უნდა დავასახელოთ გალის რაიონის ოტობაიას შებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი გ. შონია), ბორის რაიონის ზერტის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე მ. საათაშვილი), წყალტუბოს ზონის მუსალის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი მ. იობიძე). ჩამორჩენის სიღრეიდიციოდ ამ რაიონების ხელმძღვანელებს კონკრეტული ზომების მიღება დასჭირდებათ.

წარმოებითი ჭეშმარიტებაა ის, რომ ხარისხიანი პროდუქციის დამზადება შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და დარგის ინტენსიფიკაციის პირველწყაროა. რამდენი წელია ვამსჯელობთ, ვასახავთ გეგმებს, რომ საძოვრების გაუმჯობესებით მეცხოველეობა ინტენსიურად განვითარდეს, მაგრამ ამ საკითხს ვერა და ვერ წყვეტენ. ყიზლარის და შირაქის ზამთრის საძოვრები ბირკისა და სხვა სარეველა მცენარეებისაგან ვერ გაწმენდნა. ამ საძოვრებზე შვიდ თვეზე მეტ ხანს პყავთ ასი ათასობით ცხვარი. გაზაფხულზე იალაღებზე პირუტყვის გადარეკვის წინ ხვნიან ბარსავენ, მატყლი ისევ დანაგვიანებული ბირკისა და სხვა ნარევეებისაგან, რომ გადამუშავების შედეგად ნედლეული ხარისხიანი ვერ ამოვიღოთ. ასეთივე ფაქტია ნაჩვენები ფაბრიკის მონაცემებით, შარშან საზოგადოებრივი მეურნეობებისგან მათ ჩაბარეს 34.670 ცენტნერი მატყლი. გარეცხვის შემდეგ დარჩა 21.680 ცენტნერი ნედლეული. ცხადია, ზარალი დიდია. აი, რა საბოლოო შედეგები მოსდევს საქმისადმი დაუდევარ, გულგრილ დამოკიდებულებას. ნელს იალაღებზე ცხვრის გადარეკვისთანავე ზამთრის საძოვრები საგულდაგულოდ უნდა გაიწმინდოს სარეველებისაგან და შევიტანოთ მინერალური სასუქები.

მეცხოველეობის რენტაბელობაზე უარყოფითად მოქმედებს უხარისხო რძისა და ჯანდაგი პირუტყვის ჩაბარება. აგროსამრეწველო გაერთიანებებისა და მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ამას აქედანვე დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ. საერთოდ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, დარგთა ინტენსიური განვითარებისათვის ბრძოლა ნელს საყოველთაო-სახალხო მოძრაობად უნდა გამოცხადდეს, თუ გვინდა რომ გარდაქმნისათვის მოძრაობა რეალური იყოს, ეს ხელს შეუწყობს სასურსათო პროგრამის განუხრელ განხორციელებას.

სახმილება მეურნეობრიობის ხელახალი ორიენტაციისა

ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“ ჯერჯერობით სამხრეთ ოსეთში ერთადერთი საწარმოა, სადაც შემოღებულია სახმილება. მისი დანერგვა უკვე იძლევა დადებით შედეგებს: პრაქტიკულად არ არის განსხვავება საექსპორტოდ გასაგზავნ და საშინაო ბაზრისათვის განკუთვნილ მანქანებს შორის.

ქარხნის მუშაკები ამაყობენ ახალი საწარმოო საამქროთი. აქ აწყობენ ავტომატურ საშახტე სავიბრაციო საკიდელას. თანაც მზა პროდუქციას პირველი წარდგენით იღებენ.

სურათზე: მოწინავე ელექტროშემდუღებელი ვალერი გაგიევი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის ხუთწლედის პირველი ორი წლის საგეგმო დავალების შესასრულებლად გაწლილი სოციალისტური შეჯიბრების ერთ-ერთი მოწინავეა.

ლ. გუსოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ზოგადი ქრონიკა

ჟიათურელ მაღაროელთა წარმატება

სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიამ და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამეს სოციალისტური შეჯიბრების 1986 წლის მეოთხე კვარტალის შედეგები და გამარჯვებულად ცნეს ჟიათურმანგანუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი. მას მიეკუთვნა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

დროს უსწრებენ

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. დღეისათვის დამზადებული და რეალიზებულია 883 ათასი მანეთის პროდუქცია — 165 ათასი მანეთით მეტი, ვიდრე ვალდებულება ითვალისწინებდა.

საიუბილეო წელს დაუცხრომლად შრომობენ ირინე ცქიფურიშვილი, ლამარა ჩუბინიძე, ნინო გეწაძე და სხვები, რომლებმაც 10-12 დღით გაუსწრეს კალენდარს.

გაზაფხული გვაჩქარებს

უყოველდღიურად ძლიერდება მინდვრის სამუშაოთა ტემპი ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ვ. ი. ლენინის სახელობის კოხთის, ნარაზენის, ინგირის, კოკის კოლმეურნეობებში, დარჩელის, ზედა ეფრის, ონარიისა და ხეცერის საბჭოთა მეურნეობებში, ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატში. მაგრამ გაზაფხულის დარიან დღეებს ყველგან ნაყოფიერად როდი იყენებენ. 10 მარტისათვის ჩაის პლანტაციების გადაბარვა-გაფხვიერების სამუშაოები რაიონში დარჩენილი იყო 730 ჰექტარზე. არა აქვთ დამთავრებული ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა, უნდა გაძლიერდეს ხვნისა და ჩაის ბუჩქების გასხვლის ტემპი. 360 ჰექტარიდან მძიმე გასხვლა განხორციელდა მხოლოდ 32 ჰექტარზე, შპალერული გასხვლა 8000 ჰექტარიდან — 2000 ჰექტარზე.

საგაზაფხულო სამუშაოები ყოვნდება რუხის გ. სხულუხიას, ახალსოფლის „კოლხეთის“, გრიგოლიშის, ნაცატუს, ურთის XVIII პარტყრილობის, ტყაიის კოლმეურნეობებში. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც საწარმოო ბრიგადები ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული, მუშახელის სიმცირის გამო ფერხდება აგროტექნიკური ღონისძიებათა განხორციელება. აქ ჩაის პლანტაციების დაბარვა-გაფხვიერება მხოლოდ სანახევროდ მოასწრეს. ნახევრად მძიმე გასხვლაც ჭიანურდება. აქაურებს ავიწყდებათ, რომ სწორედ მათს რეგიონში იწყება პირველად ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია და ამიტომ პლანტაციების მოვლითი სამუშაოები აქ ყველაზე ადრე უნდა დამთავრდეს.

ჩხორაის კოლმეურნეობის პირველ, მეცხრე და მეათე ბრიგადებში ჩაის პლანტაციები დაუდევრად არის დაბარული. ერთწლოვან კულტურებში ხვნის წინ სასუქები არ შეუტანიათ, მიწა წინამორბედი კულტურის ნარჩენებისაგანაც გასაწმენდია. მსგავსი მდგომარეობაა ურთის, ტყაიის, ოდიშის კოლმეურნეობებში. ორწლეულ რძის კომპლექსში მოუვლელია 40 ჰექტარი ახალგაზრდა ჩაის პლანტაცია. აქ ნიადაგი დაფარულია გამხმარი სარეველებით.

რაიონის თითქმის ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში შეგნებულად აფერხებენ ჩაის პლანტაციების მძიმე და ნახევრად მძიმე გასხვლას, იმის შიშით, რომ ამ ღონისძიებამ ხელი არ შეუშალოთ წლიური გეგმების შესრულებაში, მთავარს კი ივიწყებენ — მცენარის ცხოველსარგებლობის გაძლიერების აუცილებლობას. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების ხელმძღვანელებმა, დარგის სპეციალისტებმა ამ გარემოების სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

გაზაფხულის სამუშაოები მეტ პერსონალურ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მხარი ვუსწოროთ გარდაქმნას

გარდაქმნა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო. უაღრესად მჭიდროდ დაუკავშირდა იგი იმ მაგისტრალურ ამოცანას, რომელსაც წყვეტენ აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელები — სასურსათო პროგრამას. ამავე დროს, როგორც ანალიზმა ცხადყო, ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელებული ღონისძიებანი და მიმდინარე მუშაობა ყველგან როდი შეესაბამება დღის მოთხოვნებს, დაგროვილი პრობლემების სიმწვავეს.

როგორ არის საქმე რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში, როგორ ხორციელდება სასურსათო პროგრამა, რა უნდა გაკეთდეს წინსვლისა და გარდაქმნისათვის, ამ და სხვა ასეთ საკითხებზე ფიქრობენ ამ ნაკლოვანებებზე, „თეთრ ლაქებს“, საჭირბოროტო, გადასაჭრელ პრობლემებს, რომლებიც მომავალ ტვირთად აწვება მთლიანად ჩვენს ეკონომიკას, აფერხებს მის აღმავლობას, გავლენას ახდენს დაჩქარებაზე.

განა შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ სოფლის მეურნეობის უკუგება გაცილებით ნაკლებია მოსალოდნელზე, რომ თავი იჩინა ისეთმა შემაშფოთებელმა სიმპტომებმა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკაში, როგორიც არის მათი შემოსავლის შემცირება, პროდუქციის თვითღირებულების ზრდა, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის დარგების, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების დასახული ტემპისაგან ჩამორჩენა.

წლითიწლობით არ სრულდება მთელ რიგ სახეობათა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გეგმები, მეცხოველეობა კი თავისი მაჩვენებლებით, კვლავ ერთ-ერთ ყველაზე ბოლო ადგილზეა ქვეყანაში. ყოველივე ამის შედეგია, რომ მატულობს სიძვირე საკოლმეურნეო ბაზრებში, უარესდება სურსათის ხარისხი, ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობას სულ უფრო უჭირს ფეხი აუწყოს მის მოთხოვნებს, გარდაქმნის მოთხოვნილებებს.

მოიყვანეს როგორც უნარიანი, ისე უხეიერო მეურნეობრიობის დამაჯერებელი მაგალითები. სამხრეთ ოსეთის ჯავის რაიონში, მაგალითად, შარშან ძროხის საშუალო წველადობამ ვერ გადააჭარბა 820 კილოგრამს, რესპუბლიკის 15 დიდმა მეცხოველეობის კომპლექსმა ვერა და ვერ გაამართლა იმედები, რომელსაც მასზე ამყარებდნენ, ვერ მიაღწია საპროექტო სიმძლავრეებს. მცირეა ნამატის მაჩვენებლები, ეს კი ნიშნავს, რომ ჯოგის გამრავლებისათვის მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. პრაქტიკულად არ არსებობს ჯიშთასანამრნე მუშაობა მეცხოველეობაში, სუსტია დარგის ზოოვეტერინარული მომსახურება.

შარშან რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების, რაიონული პარტიული, საბჭოთა ორგანოების უაღრესად სუსტი მუშაობის გამო საზოგადოებრივ მეურნეობებში საქონლის სულადობა ორი ათასით შემცირდა. ღორისა — ხუთი ათასით, ცხვრისა და თხისა — 1,7 ათასით. ცალკეულ რაიონებში ეს პროცესი წელსაც გრძელდება. ჩვენს წამყვან დარგებს ვერ უსწორეს მხარი მიწათმოქმედებამ და საკვებწარმოებამ, თუმცა მათ ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა აქვთ.

თათბირზე გააკრიტიკეს აგრეთვე მარცვლეულის წარმოება. თუ არა ყველაზე ელემენტარულ უყაირათობას, სხვას რას მოწმობს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მეურნეობა „ახერხებს“ და სარწყავი მიწებიდანაც კი ჰექტარზე სამუალოდ 9-10 ცენტნერ მარცვლეულს იღებს. თანაც ძალზე საპირო უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ხორბლის, სიმინდის, ბოსტნეულის, სხვა კულტურების მოყვახის ინდუსტრიული და ინტენსიური ტექნოლოგიები. და რესპუბლიკაში ბევრია ასეთი სანიმუშო მაგალითი. მაგრამ ინტენსიური და ინდუსტრიული ტექნოლოგიების დანერგვის დონე ჯერჯერობით ისევ მეტად დაბალია. მაგალითად, შარშან ინტენსიური ტექნოლოგიებით საშემოდგომო ხორბალი მოიყვანეს 10 ათასზე მეტ ჰექტარზე, რომელთაგან თითოეულზე მოწეულია მხოლოდ 31 ცენტნერი მარცვლეული, ანუ დაგეგმილზე 8 ცენტნერით ნაკლები. დაგეგმილ დონეზე 6 ცენტნერით ნაკლები სამარცვლე სიმინდი მოიწეწეს. მცირეა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაც.

საქართველომ ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სოიის — უხვცილოვანი საკვები კულტურების წარმატებით მოყვანა. მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, რესპუბლიკას უკვე აღარ შეუძლია იყოს ამ თვალსაზრისით დადებითი მაგალითი. სოიის ჰექტარობრივი მოსავლიანობა მეტად მცირეა. ეს უწინარეს ყოველისა მექანიზაციის დაბალი დონის, პერსპექტიული ჯიშების ნაკლებობის, ინტენსიური პროდუქტიული ჯიშების ნელ-ნელა ნერგვის შედეგია.

რიგზე ვერ არის მებოსტნეობის განვითარების, ბაღჩეულის მოყვანის საქმე. მუშაობის მაღალი დონით, რენტაბელობით გამოირჩევიან მხოლოდ გარდაბნის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა, ზოგიერთი სხვა მეურნეობა, რომლებსაც შეუძლიათ იყვნენ სხვებისთვის ეტალონი. აქ უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში კარგა ხანია დადგა დრო შეიქმნას სანიმუშო-საჩვენებელი მეურნეობები, რომელთა საქმიანობა მოწინავე გამოცდილების დანერგვის მაგალითი გახდება.

ჯერ კიდევ ვერ არის სათანადო დონეზე მეკარტოფილეთა მუშაობა. მაგალითად, შემცირდა კარტოფილის ჰექტარობრივი მოსავლიანობა დმანისს, ზალკის და მეკარტოფილეობის ზოგიერთ სხვა რაიონში.

თათბირზე იმსჯელეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ისეთი ტრადიციული დარგების განვითარების მდგომარეობაზეც, როგორიც არის მევენახეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა. გამოიტანეს ერთი დასკვნა: რეზერვები პრაქტიკულად ყოველ დარგშია. არის მარჯვე მეურნეობრიობის, მუშაობის ახალ, სრულყოფილ ფორმებზე, უწინარეს ყოვლისა, კოლექტიურ და ოჯახურ ოჯარაზე, თვითთანაზღაურებისა და თვითდაფინანსების პრინციპებით სამეურნეო ანგარიშზე დინამიკური გადასვლის ყველა პირობა. როგორც ჩანს, არ არის საჭირო იმის შეხსენება, რომ აქ მთავარი პასუხისმგებლობა რაიონულ პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელებს ეკისრებათ. საქმისადმი სწორად მათ პრინციპულ დამოკიდებულებაზე, სწორად დაყენებულ ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობაზეა დამოკიდებული სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების, სასურსათო პროგრამის რეალიზაციის ბედი. თუ არა ადგილობრივი პარტიული ხელმძღვანელები, მაშ ვინ უნდა ფლობდეს მთლიანად ვითარებას, დროულად ავლენდეს ნეგატიურ ფაქტებსა და მოვლენებს, შრომითს კოლექტივებს აცნობდეს დღის გადაუდებელი ამოცანების — გარდაქმნის, დაჩქარების არსს. დღეს ამ ამოცანათა გადაწყვეტა სრულიად შეუძლებელია, თუ არ ვიზრუნეთ ადამიანისათვის, მისი ყოველდღიური საჭიროებებისათვის, ყოფა-ცხოვრებისა და შრომის შესაბამისი ორგანიზაციისათვის.

თათბირზე აღინიშნა: დღეს სტიქიური უბედურების გამო რესპუბლიკას ძნელი დრო დაუდგა. მთელი ქვეყანა მხარი ამოუდგა დაზარალებულ რაიონებს და, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა საქართველოს მშრომელები და საზოგადოებრიობა. აღდგენითი სამუშაოები ფართო ფრონტით წარმოებს, ხორციელდება ყველა ღონისძიება მატერიალური ზარალის ასანაზღაურებლად, ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ არც მორალური დახმარების, იმ ადამიანებისადმი თანაგრძნობის ფაქტორი, რომლებიც გარემოებათა გამო იძულებული გახდნენ მეტოვეებინათ მშობლიური ადგილები.

ახლა, როცა მინდვრად საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო, ძალზე საჭიროა მშრომელთა ძალღონე მოვახმაროთ არა მარტო სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას, არამედ დადგენილ აგროვადებში, მაღალხარისხოვან დონეზე კამპანიის დამთავრებასაც. ყველგან უნდა გავავ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ:

ᲑᲐᲠᲓᲙᲐᲥᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ

ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲘᲜᲘᲚᲘᲗᲐ რიგებში ყოფნა დიდად აფიქრებდა ჩვენს კომუნისტებს, ყველა მშრომელს. შრომის დაბალი ანაზღაურება გუნებას უფუჭებდა მუშას და იგი ადვილად ტოვებდა საწარმოს. ამაზე ხშირად ლაპარაკობდნენ პარტიულ-სამეურნეო კრებებზე. ვიღებდით დადგენილებებს, თითქოს კიდეც ვზრუნავდით მათი შესრულებისათვის, მაგრამ რაღაცა გვაკლდა. როგორც ახლა ჩანს, ეს გულგატეხილობა იყო, რაც გამოიწვია შრომის ორგანიზაციის მოშლამ, დაუინტერესებლობამ, ნაკლოვანებებისადმი შემრიგებლურმა დამოკიდებულებამ. ამაზე ხშირად გვისაყვედურობდნენ პარტიის რაიონულ კომიტეტშიც, მაგრამ საქმე ადგილიდან არ იძვროდა.

ცხინვალის მეფრინველეობის ფაბრიკაში შექმნილი მდგომარეობა 1984 წლის 23 აპრილს განხილა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები, რომელთა პრაქტიკული განხორციელებაც გულისხმობდა მუშაობის მთლიან გარდაქმნას. ეს დადგენილება ჩვენი პარტიული ორგანიზაციის სამოქმედო ორიენტირია, რამაც გამარჯვებამდე მიგვიყვანა.

საწარმოში სწორედ მაშინ მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა. დირექტორად მუშაობს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ლევან ურუშაძე, მთავარ ზოოტექნიკოსად — გამოცდილი სპეციალისტი რეზო კალანდარიშვილი. პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე მათმა გულახდილმა გამოსვლამ, ფაბრიკის მომავალზე მსჯელობამ ოპტიმისტურად განაწყო კომუნისტები. ავამოქმედეთ პარტიული მუშაობის ყველა რგოლი. ფაბრიკის საბრძოლო ამოცანა თვალსაჩინო გახდა. დიაგრამები, სტენდები, ლოზუნგები ახალი მიჯნების მიღწევისათვის მოგვიწოდებდნენ; აგიტპორტებმა და პოლიტინფორმატორებმა საინტერესო საუბრები გამართეს მშრომელებში. პოლიტიკური და ეკონომიკური ცოდნის გაკვეთილებზე გაანალიზდა მიღწეული შედეგები და მომავლის საბრძოლო ამოცანები. ცოცხალმა სიტყვამ გული აუნთო ადამიანებს.

თითოეულმა კომუნისტმა მიიღო კონკრეტული დავალება. ჯარისკაცივით ყველა სამუშაო პოსტზე დადგა. ათი თვალი და ათი ყური გამოიბეს, რომ აღკვეთილიყო ხელმრუდობა. ურთიერთკონტროლმა, ხელმძღვანელთა გულისხმიერმა დამოკიდებულებამ, ყოველგვარი დარღვევების სამართლიანმა განხილვამ ატმოსფერო გაწმინდა, საკუთარ გულში ჩაახედა ადამიანი. შეიქმნა ერთიანი დისციპლინიანი კოლექტივი და ამან დიდი როლი ითამაშა საწარმოო ძალების მაქსიმალური გამოყენების საქმეში.

ბევრს შეიძლება დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენთან ბოლო ორ წელიწადში სამუშაო უმიზეზოდ არავის გაუცდენია, არც მთვრალი მოსულა ვინმე. რაკი გარდატეხაზე ვლაპარაკობთ, მიღწევებს როდი ვაზვიადებთ, არა, ეს ნამდვილად ასეა და ეს მარტო პარტიული ბიუროს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაწეული შუამავობის შედეგი როდია. წარმატებანი დიდად განაპირობა მატერიალური და მორალური სტიმულირების დამკვიდრებამ, რასაც მანამდე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. კეთილსინდისიერი მუშაკი ახლა ორჯერ და უფრო მეტ ხელფასს იღებს, ვიდრე ამ სამი წლის წინათ იღებდა. მათ პირველად მიიღეს შრომის დამატებითი ანაზღაურება.

პარტიული ორგანიზაციის კრებაზე წამოიჭრა იჯარული მეთოდით მუშაობის საკითხი. შემუშავდა შრომის ანაზღაურების დებულება. ზოგიერთებმა თუმცა ალმაცერად შეხედეს ამ საქმეს, მაგრამ მერე მაინც ჩაებნენ ფერხულში. განსაკუთრებით ის აფიქრებდათ, თუ როგორ ანაზღაურდებოდა საერთო შრომა: გამრჯე კაცისა და ცულღუტის შრომის შედეგი ერთი საზომით როგორ უნდა განისაზღვროს. იჯარული შრომის საკითხი ხომ სწორედ ის არის, რომ ამხანაგი ამხანაგის უერთგულესი მეგობარი ხდება. აქ ყველა ერთისათვის შრომობს და ერთი ყველას წინაშეა პასუხისმგებელი. ურთიერთკონტროლი, ერთმანეთისადმი ნდობა, განაწილების ყველაზე სამართლიანი პრინციპი წარმატების საწინდარი ხდება. ამაში ჩვენი მუშაობის პრაქტიკამ დაგვარწმუნა.

ფაბრიკაში ორი საწარმოო ბრიგადაა და ორივე აგერ ორი წელიწადია იჯარული მეთოდით შრომობს. მოზარდი ფრინველის გამომზრდელი № 1 ბრიგადას ვიტერიანი სპეციალისტი ლამარა თედელური ხელმძღვანელობს, კვერცხების მწარმოებელ № 2 ბრიგადას მე ვუდგავარ სათავეში. იმთავითვე გავაჩინეთ შრომითი პაექრობა. ჩვენი ამოცანა ნათელი იყო — ორივე ბრიგადის წარმატება განსაზღვრავდა მთელი საწარმოს ბედ-იღბალს. ბრიგადის თითოეულ წევრს განეძარცა საბრძოლო მიზანი. შედეგი სასურველია: იგივე ხალხი ხელშეწყობამ და დაინტერესებამ სულ გამოცვალა. აღიკვეთა გაცდენები. ახლა თუ ვინმე ავად გახდა, ეს შეფერხებას არ იწვევს. ბრიგადის რომელიმე წევრი უყოყმანოდ აკეთებს ამხანაგის გასაკეთებელსაც. ასე, მაგალითად, მეფრინველე თავისუფლად ასრულებს მეკვნაოსის საქმეს და პირიქით. რა მოგვცა ასეთმა მეთოდმა? უპირველესად მუშას გული გაუხარა. მათი ხელფასის დონე ორჯერ და მეტად ამაღლდა. ამან დააინტერესა მთელი კოლექტივი. თუ პირველად იჯარულ ბრიგადაში გაერთიანდნენ მექანიკოსები და მეფრინველეები, ახლა მათ შეეერთდნენ მექანიზატორები და ელექტრიკოსები. თანდათანობით საწარმო ასე გადაიქცევა იჯარული შრომის კოლექტივად. აგვარი შრომით ფაბრიკაში ნამდვილი გარდატეხა მოხდა. 1985 წლის ბოლოს გეგმით გათვალისწინებული 120 ათასი ფრთა ფრინველის ნაცვლად 137.735 ფრთა ქათამი გვყავდა, მათ შორის დედალი 7 ათასი ფრთით მეტი; 8.500 ათასი კვერცხის ნაცვლად ვაწარმოეთ 9.215 ათასი კვერცხი; ხორცის წარმოების დავალება კი 103,1 პროცენტით შესრულდა. ფაბრიკის წარმოება დაგეგმილი იყო 390 ათასი მანეთის ზარალით, ფაქტობრივად კი 24 ათასი მანეთი მოგება მივიღეთ. იჯარულმა შრომამ ასე მკვეთრად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და შეაცირა პროდუქციის თვითღირებულება.

მოპოვებულმა მიღწევებმა საერთო ხალისი დაამკვიდრა კოლექტივში. ჩვენი შრომითი წარმატებანი იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ერთიანი, მიზანსწრაფული კოლექტივის ჩამოყალიბება პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესებით, კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებით.

ერთსულოვნებამ სახე უცვალა ფაბრიკას. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკეთილ მხრები გაშალა. საქფრინველმრეწვის ხელმძღვანელთა ხელშეწყობითა და დახმარებით ორ სამქროში დამონტაჟდა უნგრული დანადგარები, ფრინველის გამოსაზრდელ ყველა სამქროში დაიდგა თბოგენერატორები, სინათლის რეჟიმის მარეგულირებელი სპეციალური ავტომატები, საკვების დასამზადებელ სამქროში — საკვებამრევი; ნარჩენების გადამუშავების უტილიზატორის მეშვეობით შეიქმნა უნარჩენო წარმოების სისტემა. ფაბრიკის ხელმძღვანელ კომუნისტებს დიდი ზრუნვა დასჭირდათ, რომ თეთრი ლეგორნის ჯიშის ფრინველი შეგვეცალა „ხაისექს ბროაუნი“ ჯიშის ფირად ფრინველით. სწორედ ამან განაპირობა მეტი ხორცისა და კვერცხის წარმოება.

შარშანდელი წელიც წარმატებით დავამთავრეთ. ვილაპარაკოთ ფაქტებით: დეკემბრის ბოლოს საგეგმო 120 ათასი ფრთა ქათმის ნაცვლად გვყავდა 142 ათასი ფრთა. მოქცეული საგეგმოზე 5 ათასი ფრთით, ხოლო მოზარდი ფრინველი — 17 ათასით მეტი. უნდა გვეწარმოებინა 9.200 ათასი კვერცხი, ვაწარმოეთ 9.849 ათასი ცალი და სახელმწიფოს მიეყიდა 878 ათასი ზეგეგმითი კვერცხი. ფრინველის ხორცი კი გეგმით ნავარაუდები 1500 ცენტნერის ნაცვლად მიეყიდა 1570 ცენტნერი. ყოველი ათასი ცალი კვერცხის წარმოებისათვის საგეგმოზე 48 კაპიკით ნაკლები დაიხარჯა, ერთი ცენტნერი ნამატის წარმოებისათვის კი ერთი მანეთით ნაკლები; თითო მოქცეულზე გეგმით გათვალისწინებული 175 კვერცხის ნაცვლად მიღებულია 180 კვერცხი.

წლეულს იანვრის პირველ ნახევარში შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 400 ათასი ცალით მეტი კვერცხი ვაწარმოეთ. წელს განზრახული გვაქვს თითოეულ დედალზე მივიღოთ 200 ცალი კვერცხი.

როცა ამ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, თვითკმაყოფილება როდი გვეუფლება. კომუნისტები მიღწეულს არ სჯერდებიან. ჩვენი მიზანია ამ ხუთწლედში მივაღწიოთ ახალი მიჯნებს, მივაღწიოთ გათვალისწინებულ საწარმოო სიმძლავრეს — ვიყოლიოთ 100 ათასი მოქცეული. ამისათვის საჭიროა შეუპოვარი შრომა. ჩვენი პარტიული ორგანიზაციაც მზად არის ყველა სიმაღლის ასაღებად. ამის თავდები ორი წლის შემარნული შრომის ნაყოფი, კომუნისტების ჯემალ თოთაძის, გიორგი მერეველის, ალექსი კახნაშვილის, ზეინაბ ბასილაშვილის

და სხვათა თავდადების მაგალითები, რაც საშუალებას გვაძლევს მხარი ვუსწოროთ ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის მებრძოლ მოწინავე საწარმოებს. დავიწყეთ საფრინველის მშენებლობა 54 ათასი ფრთისათვის. ფართოვდება ექვსდანადგარიანი ინკუბატორი, თითოეულში გამოიჩეკება 13 ათასი წიწილა და საერთო ჯამში ფაბრიკაში ერთდროულად ასი ათასი წიწილა გამოიჩეკება. სადედე-საფრინველის რეკონსტრუქცია კი შესაძლებელს გახდის საინკუბაციოდ ჩაეწყოს საკუთარი წარმოების კვერცხი, რაც ორჯერ შეამცირებს შესყიდული კვერცხით გამოწვეულ ხარჯს.

წარმოების კეთილდღეობაზე ზრუნვა ყოველთვის თვალსაჩინოა იქ, სადაც პარტიული ბირთვი ხმაშეწყობილია. ჩვენი პარტიული ბიუროს თითოეული წევრიც მზად არის ვაბიდულად იაზროვნოს და იმოქმედოს. პარტიულ-სამეურნეო დავალება შეუსრულებელი არავის რჩება... ახლა იდეოლოგიური ფრონტის მთელი სამსახური — პოლიტინფორმატორები, აგიტატორები, პროპაგანდისტები, თვალსაჩინოება, კედლის გაზეთი — ერთ მიზანს ემსახურება: ეფექტიანად ვიშრომოთ ყველამ, მოვიპოვოთ ახალი სამეურნეო გამარჯვებები.

მიმდინარე წლიდან ჩვენი ფაბრიკა სამეურნეო ანგარიშით შრომობს, რაც მეტ საზრუნავს გვიჩენს. გვწამს, რომ ასე უფრო ამაღლდება მუშის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონე. ოღონდ ამისთვის საჭიროა გარდაქმნა ისე წარვმართოთ, როგორც ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა მოგვიწოდა. აქ კი განსაკუთრებული როლი ეკისრებათ იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს, რათა თითოეულმა მშრომელმა კარგად შეიგნოს, რომ „გარდაქმნა — ეს არის მოდუნების პროცესების მკვეთრი დაძლევა, დამუხრუჭების მექანიზმის დამსხვრევა, საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საიმედო და ეფექტიანი მექანიზმის შექმნა“.

რ. ჯულუხაძე,
ცხინვალის მეფრინველეობის ფაბრიკის პარტიული ბიუროს მდივანი, საჯარო ბრიგადის ბრიგადირი.

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲮᲝᲑᲘᲡ რაიონის ხიბულის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებში გაზაფხულის სუნი დატრიალდა და მეჩაიეებიც 1987 წლის სეზონისათვის მზადებას შეუდგნენ.

თუ შარშან სახელმწიფოს 2.437 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მიჰყიდეს, უკვე ამ სეზონისათვის მეჩაიეები გვპირდებიან ეს მიჯნა 2.500 ტონამდე გაზარდონ.

მთელ 512 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში გაზაფხულის ამ პირველი დღეებიდანვე წარმოებს კულტივაცია, ბუჩქების გასხვლა, ნაადგილში შეაქვთ მინერალური სასუქები.

სურათებზე: საგაზაფხულო სამუშაოები ხიბულის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში; შეჯახრებას ტონს აძლევს საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო მექანიზატორი, ლენინის ორდენოსანი გერასიმე ჩუტკარაშვილი.

გ. შარაშენიძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲡ ᲨᲚᲘᲡ

ᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲓᲐᲜ — ᲔᲠᲗᲘ

- **ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲐ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ.**
- **ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲘᲗ ᲛᲝᲛᲪᲔᲕᲘᲗ**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐᲒᲐᲜ მოითხოვა და კარდანახის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ვანო მღვდელაძე სოფლის საბავშვო სახლის დირექტორად გადაიყვანეს...

ახალი თავმჯდომარის ასარჩევად, როგორც წესი, სასოფლო საბჭოს სესია მოიწვიეს.

ამჯერად პარტიის რაიკომიდან და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომიდან, როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე ზეპირად, არავინ მიუყვანიათ ასარჩევად, არც ვინმესთვის მოუციათ რეკომენდაცია.

სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეტიბერი დვალიშვილმა გაფართოებულ სესიას, დეპუტატებსა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს მოახსენა, რომ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის არჩევნები მოეწყობოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად — ფარული კენჭისყრით.

დარბაზიდან დაასახელეს თავმჯდომარის კანდიდატურა კი არა, კანდიდატურები — სოფლის მეარჩევნებში 59 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. ერთი ბიულეტინი, რომელშიც არც ერთი კანდიდატურა არ იყო წაშლილი, წესის თანახმად გაუქმდა.

ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ, სასოფლო საბჭოს დეპუტატმა, სოფლის საშუალო სკოლის დირექტორმა მიხეილ თოდუშვილმა გამოაცხადა არჩევნების შედეგები.

— როლანდ თათარგიორგიშვილმა მიიღო 38 ხმა.

— მარინე დოლენჯაშვილმა — 12 ხმა.

— ნუგზარ კორკოტაშვილმა — 7 ხმა.

ამრიგად, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა როლანდ თათარგიორგიშვილი.

სამართლიანად ითქვა, რომ არჩევნებში დამარცხებულებიც თავისებურად გამარჯვებული არიან, რამდენადაც სხვებში გამოარჩიეს და დაასახელეს მათი კანდიდატურები.

დასასრულ საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. სარიშვილმა აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა დემოკრატიის ამ ახალ ჯანსაღ ყლორტებს გარდაქმნის დაჩქარებაში.

სესიის შემდეგ გავესაუბრეთ დეპუტატებს.

ᲐᲜᲐ ᲛᲐᲠᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘ: ყველაფერი ძალზე შესანიშნავად იყო, დემოკრატიის სრული დაცვით. არადა, დასამალი არ არის, რომ ადრე აქაც და სხვგანაც თითო კანდიდატის დასახელებამ და ღია კენჭისყრით არჩევნებმა ნამდვილად უმეტეს შემთხვევაში ფორმალიზმამდე მიგვიყვანა. ხშირად გვიჭირდა ბავშვებისათვის ამ საკითხზე პასუხის გაცემა... მე ვიტყოდი, დემოკრატიის ასეთი გაფართოება ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესის ყველაზე სასიამოვნო, თვალსაჩინო და ნაღდი ნიშანია.

ᲮᲐᲠᲔᲑᲐ ᲢᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲓᲗᲛᲭᲝᲛᲔᲚᲘ: ასეთი არჩევნებში შემთხვევითობა და უღირსის არჩევა გამორიცხულია. დღეს სამივე კანდიდატურა შესაფერისი იყო, მაგრამ დეპუტატებმა, მათ შორის მეც, ღირსეულთა შორის ღირსეული გამოვარჩიეთ. დიახ, სესიაზე მოწვეული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები კმაყოფილი დარჩნენ არჩევნების შედეგით და ეს ჩვენი, სასოფლო საბჭოს დეპუტატების ჯანსაღი აზროვნებასა და განწყობილებაზე მეტყველებს.

ᲜᲣᲖᲣ ᲢᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐ: ასე არჩეული აღმასკომის თავმჯდომარე გულგრილი ვერ დარჩება ამ ნდობის მიმართ, გვჯერა, ნამდვილად სრული პასუხისმგებლობითა და მაქსიმალური შესაძლებლობით მოეკიდება საქმეს. არადა, ჩვენს სოფელს ბევრი გადასაწყვეტი პრობლემა აქვს.

თ. ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲗ...

ᲕᲐᲜᲘ. (ᲮᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). რაიონში შექმნილი საგანგებო რაზმები სათავეში ჩაუდგნენ სტიქიით მიყენებული ზარალის აღდგენითს სამუშაოებს. ათასობით მშრომელი ადრე დილიადან გვიან ღამემდე მამაცურად იბრძვის დანგრეულ წაგებობათა აღსადგენად, ცდილობს, რაც შეიძლება მოკლე დროში გაამაგროს მდინარე რიონის ნაპირები. მაღე მწყობრში ჩადგება ელექტროგადამცემი ხაზები 70 კილომეტრზე.

სოფელ ბზვინის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობაში სტიქიით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და საერთოდ აღდგენთს სამუშაოებში ჩაბმულია ყველა კომპლექსური ბრიგადა; ყოველდღიურად 300 კაცზე მეტი გამოდის სამუშაოზე. მდინარეთა ნაპირსამაგრების აღდგენაზე ჩინებულად შრომობს მაქანა-ტრაქტორთა პარკის ექსპლოატაციისა და რემონტის საწარმო. მოწინავე მექანიზატორები ანდრო ნამიჭიშვილი, ნოდარ ბუხაიძე, ვლადიმერ ჩახუნაშვილი, ელექტრშემდეგლები ამბროსი აბრამიძე და სხვები მამაცური შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲗᲐ (ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲗᲐ) ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ საწარმოს შესახებ კანონის პროექტი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმმა მოიწონა, მოწოდებულია დაამკვიდროს და განამტკიცოს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის რევოლუციური ამოცანის გადაწყვეტის მიმართულებით მოპოვებული წარმატებები.

დღეს უკვე ყველასათვის ნათელია, რომ საბჭოთა ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა სოციალიზმის იმანენტური ეკონომიკური ინტერესების მოთხოვნების არადამაკმაყოფილებელმა გათვალისწინებამ. იმად, რომ ჩვენში დამკვიდრდა დანახარჯების გადიდების მასტიმულირებელი სამეურნეო მექანიზმი, ნაცვლად იმისა, რომ აგველო ოპტიმალური სტრუქტურის სახმარი ღირებულებათა მასის, ანუ ისეთი საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქციის შექმნის გეზი, რომელიც ყველაზე სრულად აკმაყოფილებს საზოგადოებრივ და პირად მოთხოვნებს.

ამ მომენტის გათვალისწინების ცდა პროექტში არის. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ სახელმწიფო საწარმოს შრომითი კოლექტივი უზრუნველყოფს საზოგადოების, კოლექტივისა და თვითეული მუშაკის ინტერესების შეხამებას. (იხ. 1 მუხლის მე-2 პუნქტი). ჩვენი აზრით, ინტერესთა ამ სისტემის რეალიზაცია მეურნეობრიობის თანამედროვე პირობებში მარტო საწარმოთა კოლექტივების ძალასა და უნარზე არ არის დამოკიდებული.

უეჭველია, რომ სრული სამეურნეო ანგარიშიანების დანერგვა წინა პლანზე აყენებს კოლექტიურ ინტერესებს, როგორც ინტერესთა სისტემის ოპტიმალურად შეხამების რეალურ საშუალებას. ამასთან, პირად ინტერესებში სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივისტურ საწყისებს, მაგრამ, საწარმოთა კოლექტივებმა რომ რეალურად გამოხატონ საზოგადოებრივი ინტერესები, ამისათვის აუცილებელია შეექმნათ მეურნეობრიობის ისეთი პირობები, როცა სახალხო-სამეურნეო ინტერესები ობიექტურად გარდაიტეხება სამეურნეო რგოლების კოლექტიურ ინტერესებში. ამ უკანასკნელთა ეკონომიკური საქმიანობა უსათუოდ უნდა განისაზღვრებოდეს სახალხო-სამეურნეო გეგმების დირექტიულობით, გეგმებში, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ქვეყნის ეკონომიკური სიტუაცია.

სამუშაროდ, კანონის პროექტში საწარმოთა სამეურნეოანგარიშიან და ცენტრალიზებულ დაგეგმვას შორის დაშორიშორება საკმაოდ დიდია, არ ჩანს მათ შორის კავშირის ძირითადი მიმართულებები. პროექტით ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს სამეურნეოანგარიშიან საწარმოთა შორის სახელშეკრულებო კავშირის გაძლიერებამ. მაგრამ ანა როგორც საწარმოთა სურვილისამებრ სტიქიურად მიმდინარე პროცესმა, არამედ როგორც სახელმწიფოებრივი გეგმის ელემენტმა. ესე იგი, უწინარეს ყოვლისა, პროექტში უნდა აისახოს სამეურნეოანგარიშიან საწარმოთა შორის სახელშეკრულებო კავშირის გეგმაზომიერი ხასიათის აუცილებლობა, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით სახალხო-სამეურნეო გეგმის შეწონასწორების აუცილებელი პირობაა. ამ მოთხოვნას პროექტი, ჩვენი აზრით, ჯეროვნად ვერ უპასუხებს.

ამასთან, აუცილებელია პროექტში უფრო მკაცრად გამოიკვეთოს სახელშეკრულებო ურთიერთობათა დარღვევისას მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხი. საქმე ის არის, რომ ახლებურად მუშაობის პირობებშიც კი მიწოდებათა ჩაშლისათვის დაწესებული საჯარიმო სანქციებით მიღებული თანხები ოდნავადაც ვერ ანაზღაურებს ფაქტობრივად მიყენებულ ზარალს, რომ არაფერი ვთქვათ მისი ამოღების დიდ სიძნელეებზე.

შემდეგი ძირითადი მომენტი, რომელიც, ჩვენი აზრით, პროექტში შენიშვნას იმსახურებს, არის წარმოების მოცულობის ზრდაზე ხელფასის ფონდის დამოკიდებულება, ან უფრო ფართოდ წარმოების მოცულობის დაგეგმვისა და მისი სტიმულირების ურთიერთკავშირის პრობლემა.

პროექტში წერია: „საწარმო დადგენილი ნორმატივით აყალიბებს ხელფასის ფონდს (შრომის ანაზღაურების ფონდს) მუშაობის საბოლოო შედეგების მიხედვით“. მრეწველობაში მეურნეობრიობის ახალი პირობებით ხელფასის ფონდის ზრდა დღეისათვის ისედაც პირდაპირ არის დამოკიდებული წარმოების მოცულობის გადიდებაზე. კარგია თუ ცუდი ეს? დანახარჯების გადიდების „წამახალისებელ“ მექანიზმთან შედარებით, რომლის უარყოფასაც ამჟამად დაბეჯითებით ვცდილობთ, უსათუოდ კარგია. მაგრამ ცუდია იმიტომ, რომ ეს ისევ წარმოების დაგეგმვა და მისი შესრულების სტიმულირებაა „მიღწეული დონიდან“, ამა თუ იმ სახეობის პროდუქციაზე საზოგადოებრივ ი ვ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონისაგან დამოუკიდებლად. საჭირო კი სწორედ ამის ცოდნა და გათვალისწინებაა. მთავარი ის არის, რომ სახალხო-სამეურნეო გეგმის ამოსავალი და დამასრულებელი პუნქტი იყოს განსაზღვრული სტრუქტურის სახმარ ღირებულებათა მასა, რაც საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა ადეკვატურია. ეს თავის მხრივ იმის გარანტიაა, რომ საწარმოთა შორის დადებული მრავალრიცხოვანი სამეურნეო ხელშეკრულება იქნება არა უბრალოდ მომხმარებელთა განაცხადების ჯამი, არამედ საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დიფერენცირებული ასახვა.

საწარმოთა სრული სამეურნეოანგარიშიანებისა და თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობის პირობებში მიზანშეწონილად ან მიგვაჩნია პროექტით გათვალისწინებული წესის დაკანონება, რომლითაც ზემდგომი ორგანო უმტკიცებს საწარმოს ხელმძღვანელი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების ხელფასის ფონდის ნორმატივს. სამეურნეო ანგარიშიანობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა სწორედ ის არის, რომ საწარმოთა პროდუქციის ფასებმა ასახოს არა მარტო მის წარმოებაზე გაწეული განივთებული და ცოცხალი შრომის დანახარჯები, არამედ ისიც, თუ როგორ აკმაყოფილებს საქონელი საზოგადოებრივ და პირად მოთხოვნებს, ანუ როგორია მისი სარგებლიანობა. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ქეთილდღეობის მიზნით საცალო ფასების სწორი პოლიტიკის გამოყენებისათვის, იმისათვის, რომ კატეგორიულად აღიკვეთოს საცალო ფასების ზრდის ზოლო ხანს დამკვიდრებული პრაქტიკა პროდუქციის წარმოების „ამსტრაქტული“ დანახარჯების საფუძველზე, მისი სარგებლიანობის გაუთვალისწინებლად.

გაუგებარია მე-17 მუხლის მე-6 პუნქტი: „ფასწარმოქმნის დარგში უფლებებსა და მოვალეობებს საწარმო ახორციელებს სახელმწიფო მართვისა და რეგულირების ძირითადი პრინციპების შესაბამისად“. უნდა იყოს: „ფასწარმოქმნის დარგში უფლებებსა და მოვალეობებს საწარმო ახორციელებს ფასების სახელმწიფო მართვისა და რეგულირების ძირითადი პრინციპების შესაბამისად“.

მისასალმებელია, რომ პროექტი ითვალისწინებს სოციალისტური თვითმმართველობის ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას. მაგრამ, ამასთან, ჯერ ერთი, საჭიროდ მიგვაჩნია გამოიკვეთოს ის ძირითადი ასპექტები, რომლებზეც ვრცელდება თვითმმართველობა, სხვანაირად, მშრომელთა ფართო მასებისათვის ეს ნაკლებად გასაგები და ხელმისაწვდომი იქნება. მეორე — თვითმმართველობის გაშლასთან ერთად უნდა დაზუსტდეს პროექტში გამოყენებული ცნებები „საკუთრების ფლობა“, „საკუთრების განკარგვა“ და ა. შ., რასაც განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ ინტერესთა ურთიერთდამთხვევის ასპექტით. სრული სამეურნეოანგარიშიანობის პირობებში საკუთრების „განკარგვის“ ურთიერთობა სულ უფრო მეტად გამოხატავს „ფლობის“ ურთიერთობას, ამიტომ უნდა მოხდეს მათი სინთეზი, ვფიქრობ, „ფლობის“ ცნებაში.

ამავე ასპექტით თეორიულად გაუმართლებლად ფორმულირებულია პროექტის დებულება: „საწარმო, ... ეკონომიკურად ... პირი, აქვს საერთო-სახალხო საკუთრების განცალკევებული ნაწილი...“ (მუხლი 1, პუნქტი 2).

ალბათ, უნდა იყოს: „საწარმო არის იურიდიული პირი, ემყარება საერთო-სახალხო საკუთრებას...“, ან კიდევ: „...ფლობს საერთო-სახალხო საკუთრების ნაწილს“.

გასაოცარია პროექტის დებულება: „საწარმოს საქმიანობა ემყარება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის საფუძველს“... (იხ. მუხლი 2, პუნქტი 1). უნდა იყოს: „საწარმოს საქმიანობა ემყარება ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმას“...

დაზუსტებას საჭიროებს დებულება: „საწარმოს შრომითი კოლექტივი დამოუკიდებლად წყვეტს საწარმოო და სოციალური განვითარების ყველა საკითხს...“ (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი).

საწარმოო საქმიანობის ყველა საკითხს საწარმო დამოუკიდებლად ვერ გადაწყვეტს, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი საქმიანობა ემყარება სახელმწიფო გეგმას. ამიტომ ეს ადგილი შემდეგნაირად უნდა დაზუსტდეს: „დირექტიული საკონტროლო ციფრების საფუძველზე საწარმო დამოუკიდებლად წყვეტს საწარ-

ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲮᲐᲛᲔᲑᲘᲗ

მოს მუშაობის შედეგების, ამ შედეგების საზოგადოებრივი სარგებლიანობის ასპექტით, ყველა მუშაკისათვის ერთნაირი პრინციპით უნდა გადაწყდეს.

მიგვაჩნია, რომ პროექტის მე-17 მუხლის მე-6 პუნქტში

უკსოეთი
ფაქტები • მოვლენები

ჩავწვდეთ ცვლილებათა სიღრმესა და მასშტაბურობას

საჯაროობის, საზოგადოებრივი კონტროლის მძლავრი ინსტრუმენტი ხდება საბჭოთა პრესა სოციალისტური დემოკრატიის შედგომი განვითარების პირობებში. მტკიცდება ბეჭდვითი სიტყვის ავტორიტეტი ჩვენს საზოგადოებაში, იზრდება ჟურნალისტთა პასუხისმგებლობაც. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაამართლონ სრულად პარტიისა და ხალხის ნდობა, ლაპარაკობენ ქვეყნის შემოქმედებითი კოლექტივების წარმომაგზავნილები სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის VI ყრილობაზე, რომელმაც მუშაობა გააგრძო 16 მარტს მოსკოვში.

იხილავენ მომწიფებულ შემოქმედებითს პრობლემებს, თუ როგორ გახადონ ყოველი გამოსვლა ბეჭდვით სიტყვაში, ყოველი ტელე და რადიოგადაცემა უფრო ინფორმაციანი, ღრმა, უფრო მკაფიო და მწვავე. ყრილობის მოწაწილენი ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას, პროფესიული ოსტატობის ხერხებს, ერთად ეძებენ მუშაობის თვისებრივად ახალი დონისაკენ მიმავალ გზებს.

ბევრი გამოსვლა შეიცავს ჟურნალისტური ორგანიზაციების მუშაობის ეფექტიანობის გადიდებასთვის, მათი არჩევითი ორგანოების გააქტიურებისათვის გამიზნულ წინადადებებს. მიმდინარეობს სჯა-ბაასი, რომელიც მარტო ჟურნალისტებისათვის როდია მნიშვნელოვანი. მათი ყურადღების ცენტრში ხომ ეკონომიკისა და პოლიტიკის, კულტურის, მეცნიერებისა და ზნეობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემები, ცხოვრების ყველა სფერო, ცვლილებათა მთელი მრავალფეროვნებაა. ფართოდ წარმოაჩენს რა ამ ცვლილებებს, საბჭოთა პრესა ამავდროულ ომსას, რაც სტიმულს აძლევს წინსვლას.

ფართო წრის პრობლემებს იხილავენ დელეგატები. მათი უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გარდაქმნა უნდა მიმდინარეობდეს ცხოვრების ობიექტივიზაციის მომართულებით, საჭიროა საკითხისა და პრობლემების, მოვლენებისა და პიროვნებების სოციალური შემოწმება, აღნიშნა გაზეთ „სოვეტსკაია როსიის“ მთავარმა რედაქტორმა **ვ. ვ. ჩიკოვმა**. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ ნამდვილ დემოკრატიზაციას, სოციალისტური ზნეობის კლიმატის შექმნას.

ჩვენი კრიტიკა ასი პროცენტით მართალი უნდა იყოს, მაგრამ ჩვენს პუბლიკაციებში აღნიშნული დარღვევებისათვის პასუხისმგებლობაც აგრეთვე, ასპროცენტიანი უნდა იყოს, თქვა დეპუტატის საოლქო ჟურნალისტური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ **პ. ვ. ნოვიკოვმა**. განსაკუთრებით მწვავედ ეხება ეს პრობლემა საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების საქმიანობას, სადაც ჟურნალისტი ხშირად ვერ ახერხებს ხომლე ამა თუ იმ თანამდებობის პირის წინააღმდეგ.

ადგილობრივი და მრავალტირაჟიანი ბეჭდვითი სიტყვის პრობლემებზე, იმაზე, რომ მას მეტი ყურადღება უნდა მიაპყრონ როგორც პარტიულმა და საბჭოურმა ორგანოებმა, ისე, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების ჟურნალისტებმა, ილაპარაკეს ორიოლის ოლქის ურიკანის რაიონული გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ რედაქტორმა **გ. გ. ლაზარევმა**, უსტინოვის რადიოქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის „რადისტის“ რედაქტორმა **ს. ბ. ლოგინოვმა**, ლენინგრადის საოლქო ჟურნალისტური ორგანიზაციის თავმჯდომარემ **ა. კ. ვარსობინმა**, მურმანსკის ოლქის საქალაქო გაზეთ „კიროვსკი რაბოჩის“ რედაქტორმა **ნ. ბ. რიეკოვმ** და სხვებმა. მათ აღნიშნეს, რომ ძირეულ პრესაში განსაზღვრა გაზეთის ორგანიზატორული ფუნქციის ყოველმხრივი ამაღლების ზუსტი გეზი. მაგრამ მთლიანად არ ამოქმედებულა მისი შინაგანი რეზერვები. საჭიროა სტრუქტურის გარდაქმნა, ყველი რგოლის საქმიანი, პრიციპული ატესტაცია.

საჯაროობა, გულახდილობა გულისხმობს, არა მარტო ჩვენი თანამედროვის უნარსა და სურვილს თქვას სათქმელი, არამედ უნარსაც მოისმინოს სხვისი აზრი, ო ეშნოდეს მისი, თქვა ჟურნალ „ოგონიოკის“ მთავარმა რედაქტორმა **ვ. ა. კოროტიჩმა**. დაუშვებელია, როცა სიმართლეს ჩვეულებრივ ცვლიან სხვადასხვაგვარი „ოსაზრებებით“.

იქ, სადაც ვდუმვართ, ბოლომდე არ ვამბობთ სათქმელს, ვაკუეს დაუყოვნებლივ ავსებს ჩვეულებრივ უცხო მორალი და უცხო ფილოლოგია, განაცხადა გამოსვლაში ალმა-ათის საოლქო გაზეთის „ოგნი ალათაუს“ რედაქტორმა **ნ. ნ. გარიფულინმ**.

ოდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა სახტელერადიოს საკუთარმა ორეესპონდენტმა ავდანეთში **მ. ბ. ლეშჩინსკიმ**. მან თქვა, რომ ჩვენ ზედმიწევნით ვუთმობთ მოწინააღმდეგეებს ამ მნიშვნელოვან უბანზე. ბრალუბაროდ, აღნიშნა მან, მოხსენებაში ნაკლებად მიექცა ყურადღება საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს. მესაერთაშორისო ჟურნალისტთა მუშაობაში გარდამქნილ გზებს შეეხო გაზეთ „ნოვოსტის“ პოლიტიკური მიმომხილველი **ა. ე. ბოგანინ**. ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის ცხოვრების პრობლემებისადმი მიძღვნილი მასალების გაუმჯობესებული ხარისხის ფონზე შესამჩნევია საერთაშორისო საკითხთა ჟურნალისტიკის ჩამორჩენა.

თანამედროვე ეტაპზე ახალგაზრდული ბეჭდვითი სიტყვის ამოცანებზე ილაპარაკა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ — ლიტვის ალკა ცენტრალური კომიტეტის ორგანოს განყოფილების გამგემ **ვ. ა. ლინგანმა**. ორატორმა ყურადღება მიიპყრო, კერძოდ, იმას, რომ საჭიროა გულდასმით შეირჩეს ქალიშვილები და ჭაბუკები, რომლებმაც სწავლა უნდა განაგრძონ სახელმწიფო უნივერსიტეტების ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე.

ეს თემა განავრცო თავის გამოსვლაში მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანმა **ი. ნ. ზასურსკიმ**. მან აღნიშნა, რომ ქვეყნის ჟურნალისტური ორგანიზაციები ჯერჯერობით პასიურად ეკიდებიან აბიტურიენტთა მიზნობრივ მიღებას. უფრო რეალური არე დაბმარების გაწევა სტუდენტთა უკეთესი კონტინგენტის შექმნის საშუალებას მოგვცემს.

აღინიშნა აგრეთვე ფოტორეპორტიორთა კადრების მომზადების სიძნელეები, ილაპარაკეს ჟურნალისტიკის ამ სახეობის განვითარებასთან დაკავშირებულ პროპლემებზე.

ბევრი რამ ითქვა ყრილობის ტრიბუნიდან იმის შესახებ, რომ საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერნაციონალურ აღზრდას, უფრო მკაფიოდ აისახოს სსრ კავშირის ხალხთა ძმური დაბმარების მაგალითები.

გარდაქმნის განვითარებას შეძლებენ მხოლოდ ისინი, ვინც მზად არის იკისროს პასუხისმგებლობა. ადამიანში თადარიგიან მეურნის გრძნობის ჩანერგვა საბჭოთა ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

ორატორებმა წამოაყენეს წინადადებანი შემოქმედებითი კავშირის საქმიანობის სრულყოფის შესახებ, აღნიშნეს მის მუშაობაში, სტრუქტურის ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებანი.

ყველა კონტინენტის 250 ათასი ჟურნალისტის სახელით ყრილობის დელეგატებს მიესალმა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტი **კ. ნორდენსტრენგი**. მან განაცხადა, რომ საბჭოთა ჟურნალისტების ყველა საზღვარგარეთელ კოლეგაზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ის, რაც საბჭოთა ქვეყანაში ხდება. საჯაროობა ახლა გავლენას ახდენს არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც, თქვა ორატორმა.

გაზეთ „პრავდის“ პოლიტიკურმა მიმომხილველმა **ი. ა. ეფიმოვმა** თავის გამოსვლაში თქვა, რომ საჭიროა შეიქმნას სპეციალური გაზეთი, რომელიც გამოაქვეყნებს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის ყველა ოფიციალურ დოკუმენტს.

ორატორთა ყურადღების ცენტრში იყო ტელევიზიის პრობლემები, რომელიც უნიკალური ტექნიკური შესაძლებლობების გამო ღღეს ყოვლისმომცველი გახდა და ყველა კუთხე-კუნჭულს აღწევს.

ჟურნალისტიკის ამ დარგში გარდაქმნას რომ შეეხო, სსრ კავშირის სახტელერადიოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ლ. პ. კრავჩენკომ** ხაზგასმით აღნიშნა: ტელევიზიამ პირველი ნაბიჯები გადადგა იმ მიმართულებით, რომ გახდეს საზოგადოების დემოკრატიზაციის, საჯაროობის გადიდების ქმედითი ინსტრუმენტი. კარგი გამოდგა, მაგალითად, ღია გადაცემების შექმნის გამოცდილება, რომლებშიც ერთდროულად მონაწილეობენ ტელემაყურებლებიც, თვალსაჩინო პარტიული, სახელმწიფო მოღვაწენიც, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებიც. დიდი სტელევეზიონი ხიდების პროპაგანდისტული ეფექტი, პოპულარობა მოიპოვეს ისეთმა პროგრამებმა, როგორიც არის „მე-12 სართული“, „მსოფლიო და ახალგაზრდობა“. ამავე დროს ჯერ კიდევ ნაკლებია მკაფიო, ინტენსიური გადაცემები, რომლებიც აშუქებენ ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე გარდაქმნის გამოცდილებას.

სატელევეზიო საინფორმაციო-პროპაგანდისტული კომპლექსის სრულყოფის აზრი გამოთქვა თავის გამოსვლაში ესტონეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ **ხ. ა. ტარაკანოვმა**. მან აღნიშნა, რომ ადგილობრივი ტელევიზია შესაბამისად ჩამორჩენილია ცენტრალურს. ამ ჩამორჩენის დასაძლევად წამოყენებულია წინადადება შეიქმნას საერთო-საკავშირო გაერთიანებული ვიდეოფონდი, რომელიც ქვეყნის ტელეესტეტიდები გადაგზავნიან თავიანთ საუკეთესო ნამუშევრებს. ამავე მიზნით სომხეთის სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ე. ა. არაქსმან-მანუკიანმა** დასვა მუდმივი ორხით ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტელემაუწყებლობის სრული პროგრამის ურთიერთმიღების საკითხი.

ყურადღება მიეპყრო საოლქო და რესპუბლიკური სტუდიების ტექნიკითა და კადრებით უზრუნველყოფის პრობლემებს.

ჩვენი ყრილობა ცხადყოფს, რომ თვით ცხოვრებამ წინა ხაზზე წამოსწია გაზეთის, როგორც „კოლექტიური ორგანიზატორის“, ლენინური ფორმულა, თქვა პუბლიცისტმა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის I ყრილობის დელეგატმა **ე. ი. რიაბჩიკოვმა**. მან მაღალი შეფასება მისცა „კომსომოლსკაია პრავდას“ გამოცდილებას, რომელმაც საავტომობილო მრეწველობის სამინისტროსთან ერთად მოამზადა და მოაწყო სრულიად საკავშირო კონკურსი ლატვიაში „რიფის“ ქარხნის დირექტორის თანამდებობისათვის. გაზეთი, როგორც ნოვატორი, ეძებდა ეკონომისტებთან, ფილოსოფოსებთან, ფინანსისტებთან მუშაობის ახალ ფორმებს, ეწეოდა კანდიდატების შერჩევას. ამავე გზით წავიდა ჟურნალ „სმენის“ რედაქცია, რომელმაც უზრუნველყო ჩრდილოეთის ნავთობის ბაზის ინტენსიურ ექსპლუატაციისა და ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შეგროვება.

საბჭოთა პრესის ვეტერანის ნათქვამს ეხმიანებოდა საქალაქო გაზეთის „ნოვოროსიისკი რაბოჩის“ ახალგაზრდა რედაქტორის **ვ. ვ. ბურლაკოვის** გამოსვლა. მან თქვა, რომ ნოვოროსიისკელი გაზეთის მუშაკები სულ უფრო ხშირად არიან იმ საერთო საქალაქო დისკუსიების ორგანიზატორები, რომელთა მიზანია მოამზადონ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებანი, ქალაქებისა და თანამდებობის პირთა დიალოგი, კონკურსები ვაკანტურ თანამდებობათა დაკავებისათვის, უზრუნველყონ საზოგადოებრივი კონტროლი გაზეთში გამოქვეყნებული დადგენილებებისა და ქალაქის ხელმძღვანელთა განცხადებების შესრულების მიმდინარეობისადმი, მოაწყონ მკითხველთა გამოძიება.

როგორც გამოსვლებში მოყვანილი მაგალითები მოწმობს, ნოვოროსიისკის საქალაქო გაზეთის საქმიანობა ისეა დაგეგმილი, რომ მკითხველები იყვნენ არა მარტო ბიუროკრატებთან ჟურნალისტების შერკინების უბრალო მაყურებლები, არამედ უშუალოდაც მონაწილეობდნენ ახალი ქალაქისათვის, ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

ამგვარი მიდგომის დიდი მნიშვნელობა აღინიშნა მოლდავეთის სსრ გამსახურმის თავმჯდომარემ **ვ. ფ. სტანევმა**. ორატორმა გაანალიზა რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე კრიტიკული გამოსვლების ქმედითობა, ამასთან ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ზოგჯერ ამგვარი მასალების რაოდენობას გამოდევნებული ჟურნალისტები სცოდავენ ხარისხის თვალსაზრისით და ბოლომდე ვერ მიჰყავთ დაწყებული საქმე.

ყრილობის დელეგატებმა წამოაყენეს წინადადებანი შემოქმედებითი კავშირის წესდების პროექტის გამო, ამასთან თქვეს, რომ ეს დოკუმენტი ქვეყნის ჟურნალისტების წარმატებული მუშაობის მტკიცე საფუძველი უნდა გახდეს. ორატორებმა აღნიშნეს, თუ რა ინტერესს იჩენენ ადგილებზე „საინფორმაციო მოამბისადმი“, რომლის გამოშვებაც დაიწყო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ.

პარტიამ მაღალი შეფასება მისცა ცენტრალური პრესის მუშაობას, თქვა გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ მთავარმა რედაქტორმა **ა. ბ. ბელიაევმა**. დრო მოითხოვს თითოეული ჩვენგანისაგან არჩევანს, მოითხოვს მოქმედებას, როგორც მიზანია საბოლოო უკუგდება ყველაფრისა, რაც ებრკოლებს ცხოვრების ახალ თვისებრივ საფეხურზე ასვლას.

გარდაქმნის პროცესი ძალიან რთულია. მთუმეტეს, როცა საქმე ეხება ჩვენი ცხოვრების ისეთ მოვლენას, როგორიცაა ლიტერატურა და ხელოვნება, რომელებზეც აგრეთვე მოახდინა გავლენა უძრაობის იდეოლოგიამ და ფსიქოლოგიამ. და ამ უძრაობის დასაძლევად ყველა ყველაზე ძლიერი იარაღია საჯაროობა და მხოლოდ საჯაროობა.

საბავშვო და საყმაწვილო პრესის პრობლემებს მიაპყრო აუდიტორიის ყურადღება ბელორუსის რესპუბლიკური გაზეთის „ზორკას“ რედაქტორმა **ე. პ. ლუკანსკაიამ**. არც მოხსენებაში, არც გამოსვლებში, არც ყრილობის სხვა მასალებში ერთი სტრიქონიც კი არ არის მოზარდი თაობისათვის განკუთვნილი პრესის შესახებ. თითქოს არც კი გვჭონდეს უზარმაზარი ტირაჟის პიონერული გაზეთები, რომლებსაც გადასაწყვეტი აქვთ სადღეისოდ, პარტიის მიერ დასახული უდიდესი ამოცანები.

საყმაწვილო გაზეთების კადრების მომზადება, აღნიშნა ორატორმა, დიდი პრობლემაა.

პრესაში და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქმიანობაში გარდაქმნასთან დაკავშირებული შენიშვნები და წინადადებები გამოთქვა სარატოვის საოლქო ჟურნალისტური ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის **ნ. ი. შაბანოვმა**. მან, კერძოდ, ხაზი გაუსვა, რომ კავშირისა და გამგეობის სამდივნო ჯერ არ ქცეულან გარდაქმნის მოთხოვნების შესაბამის შემოქმედებით ცენტრად. არ არის სისტემური მუშაობა გამოცდილების განზოგადებისათვის, არადა ასეთი გამოცდილება შეძენილია. მაგალითად, ყოველწლიური და რეგიონალური კი არა, საკავშირო უნდა გახდეს შეხვედრები ჟურნალისტიკის, პრესის გარდაქმნის აქტუალურ საკითხებზე, ყველაზე საგულისხმო მასალა კი კრებულებად უნდა გამოიცეს.

ყრილობაზე ხშირად აღიძრებოდა ინტერნაციონალიზმის თემა, თქვა ჟურნალ „აზერბაიჯანსკაია ფენ'ჭინსის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ **ს. გ. ნაჯაფოვამ**. პირადაირ უნდა თქვას, რომ ამ მუშაობას ზერელედ ვეწეოდით. პუბლიკაციებში ბევრია ზოგადი სიტყვა. დრო მოითხოვს, რომ პრესამ ყურადღება გამამახვილოს ადამიანის სულიერ სამყაროზე, უფრო ცხადად წარმოაჩინოს ჩვენი იდეურ-ზნეობრივი ღირებულებები. ხალხი ხომ მთავარი მოქმედი პირია.

ორატორი შეეხო სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემებს, ქალთა საბჭოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუშსოფლკორთა მოძრაობის პრობლემების საკავშირო კომისიის თავმჯდომარემ **ვ. ა. ალექსეევმა** ხაზი გაუსვა, რომ ამ მოძრაობაში შეიმჩნევა ნეგატიური მოვლენები: მუშსოფლკორთა ჩამოშორება რედაქციებისაგან, ინგარიშსწორება საზოგადოებრივ კორესპონდენტებთან კრიტიკისათვის. მუშსოფლკორთა წყობა ძირითადად ვეტერანებით სულდგმულობს.

კომისიის დავალებით ორატორმა წინადადება წამოაყენა, რომ ყრილობის რეზოლუციისა და წესდების პროექტებში შეიტანონ პუნქტი მუშსოფლკორთა მოძრაობასთან ჟურნალისტთა კავშირის თანამდებობების შესახებ და მხარი დაუჭირა წინადადების მოსკოვში სახალხო კორესპონდენტთა საკავშირო ყრილობის მოწვევის თაობაზე.

გარდაქმნისათვის, დაჩქარებისათვის ჟურნალისტთა პასუხისმგებლობის შესახებ ილაპარაკა სსრ კავშირის სახტელერადიოს პოლიტკურმა მიმომხილველმა **ლ. ა. ვოზნესენსკიმ**.

ამოცანა ის არის, რომ პარტიის იდეებმა თითეული ადამიანის შეგნებამდე მიაღწიონ, თქვა მან. უფრო მეტიც, — ისინი პრაქტიკულ საქმეებად უნდა იქცნენ. მხოლოდ საზოგადოებაში მომხდარი ეკონომიკური ცვლილებების ბაზაზე შეიძლება დამკვიდრდეს ის კოლოსალური პოლიტიკური ძვრები, რომელთა მოწმენიც ბოლო ხანს ვართ.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის საანგარიშო მოხსენებასა და ყრილობის მონაწილეთა გამოსვლებში ღრმად და კრიტიკულად ანალიზდება ჩვენს საზოგადოებაში ჟურნალისტიკის დღევანდელი მდგომარეობა, თქვა ტაჯიკეთის სსრ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **გ. ნ. კალანდაროვმა**. საბჭოთა პრესაში გარდაქმნის პერიოდში შესამჩნევი ცვლილებები მოხდა. დღეს რესპუბლიკის პრესა, ტელევიზია და რადიო აშუქებენ აქტუალურ თემებს, აკრიტიკებენ ნეგატიურ მოვლენებს, ახდენენ ზემოქმედებას საზოგადოებრივ აზრზე.

ჩვენი ყრილობით თუ ვიმსჯელებთ, შენიშნა ჟურნალ „კროკოდილის“ მთავარმა რედაქტორმა **ა. ს. პიანოვმა**, გამოდის, რომ საბჭოელი ჟურნალისტიკის ყანრი ჩვენში არ არსებობს. არადა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში ათ მილიონ ეგზემპლარზე მეტ ერთდროულ თვიურ ტირაჟად გამოდის ოცზე მეტი პოლიტიკური სატირის ჟურნალი.

გარდაქმნის პერიოდში პოლიტიკური სატირის მიზანი და ობიექტები ცხადი და აშკარა. განა გადაშენდნენ ჩვენს სინამდვილეში იდეალისტი კარჩხნები და ბრძენთაბრძენი ციმორები, რომელთათვის ყოველგვარი გარდაქმნა ბასრი დანის ბადალია. სწორედ ეს ყველაფერი და ბევრი სხვა რამ წარმოადგენს პოლიტიკური სატირისა და იუმორის ობიექტს.

ხაზი გაუსვა რა ამ აზრს, ორატორი შეეხო იმ ამოცანებს, რომლებიც დღეს დგას ქვეყნის სატირული საამქროს ოსტატების წინაშე.

ყრილობაზე დიდი ყურადღება ექცეოდა რაიონული გაზეთების მუშაობას. და ეს სწორია, აღნიშნა კურსკის ოლქის ყელეზნოგორსკის რადიომაუწყებლობის კორესპონდენტმა — ორგანიზატორმა **ლ. გ. არამენკომ**, ვინაიდან რაიონული რგოლი უმნიშვნელოვანესი უბანია, სადაც გარდაქმნის ბედი წყდება. რაიონულ გაზეთებთან ერთად საერთო საქმეს ასრულებს ადგილობრივი რადიომაუწყებლობაც. მაგრამ მისი პრობლემების შესახებ თითქმის არაფერი თქმულა.

ორატორმა წამოაყენა წინადადება, რომ საჭიროა რაიონული გაზეთების შემადგენლობაში გამოიყოს რადიომაუწყებლობის გაყოფილება, რათა საგაზეთო რადიოს მასალებს ამზადებდნენ მეგაზეთეებიც და რადიოჟურნალისტებიც.

დაჩქარებაში ღირსეული წვლილის შესატანად, თქვა თურქმენეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ **ბ. შ. ქერიმმ**, თვითონაც სწრაფად უნდა გარდავიქმნათ. სწორედ ამას ესწრაფვიან ჟურნალისტები, სწორედ ამაში გვიწევენ დღეს უფრო ქმედით დახმარებას პარტიული კომიტეტები.

ორატორმა წამოაყენა წინადადებები ეროვნულ ენებზე გამომავალ გაზეთებში საკადრო გარდაქმნის შესახებ და გამოთქვა თავისი აზრი ადგილობრივი გაზეთებისა და საკდესის ურთიერთობის ზოგიერთი პრაქტიკული საკითხის თაობაზე.

საბოლოო სიტყვაში სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ვ. გ. აფანასიევმა** აღნიშნა, რომ ყრილობამ აქტიურად, კრიტიკული კონსტრუქციული სულისკვეთებით ჩაიარა. გამოითქვა ბევრი საინტერესო წინადადება. დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ძირითადი ყურადღება დაუთმეს ჟურნალისტთა მუშაობის გარდაქმნას, მისი ეფექტიანობის გადიდებას. საჭიროა ჩვენი მუშაობის შინაარსის სრულყოფა, ახალი ფორმების ძიება, ყველაფრის გაკეთება საიმისოდ, რომ ჩვენ, ჟურნალისტები აქტიურად ვეხმარებოდეთ პარტიას, ხალხს გარდაქმნის, დაჩქარების საქმეში.

მიღებულია ყრილობის რეზოლუცია.

ყოველი პირველადი ჟურნალისტური ორგანიზაციის ყოველი საარდაკვეთო კოლექტივის ვალია, აღნიშნულია რეზოლუციაში, თანამიმდევრულად დაძლიონ წარსულის ინერცია, დრომოჭმული აზროვნება, აქტიურად ეძებონ და დაამკვიდრონ თავის მუშაობაში ნოვატორული მიდგომები, რომლებიც დროის რევოლუციურ სულისკვეთებას შეესაბამებიან. საჭიროა ხელი შევუწყოთ იმას, რომ ჟურნალისტებმა ძირითადი მეცადინეობა წარმართონ საბჭოთა ეკონომიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების, სოციალისტური დემოკრატიზაციის, საჯაროობის განვითარების, კომუნისტური აღზრდის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განმტკიცების გადამწყვეტი მიმართულებებით. საჭიროა ღრმად გამოვიკვლიოთ გარდაქმნის, ადამიანების ახალი აზროვნებისა და შეგნების ფორმირების არსი, საფუძვლიანად შევისწავლოთ და დავუჭიროთ მხარი სიახლის ტენდენციებს, დავეუფლოთ კარგი გამოცდილების შესახებ დამაჯერებლად წერის ხელოვნებას.

ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წესდების ახალი რედაქცია. წესდების მთავარი დებულებები შეუსაბამეს ცხოვრების, გარდაქმნის, დაჩქარების მოთხოვნებს. განსაკუთრებით ხაზგასმულია დებულება, რომ ჟურნალისტთა კავშირი არის შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც ზრუნავს ჟურნალისტთა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, იცავს ჟურნალისტების უფლებებს და მონაწილეობს მათი შრომის, ყოფისა და აღზრდის საკითხების გადაწყვეტაში. განსაზღვრულია კავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: შემოქმედებითი საწყისების გაძლიერება, პირველადი ჟურნალისტური ორგანიზაციების მუშაობის აქტივიზაცია.

აირჩიეს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა და ცენტრალური სარევიზიო კომისია.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის VI ყრილობის საბოლოო სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ი. კ. ლიგაჩოვი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

* * *

ამავე დღეს გაიმართა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პირველი პლენუმი. კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი **ვ. გ. აფანასიევი**, გამგეობის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ — **ი. ა. ზუბკოვი**, თავმჯდომარის მოადგილეებად — საკდესის გენერალური დირექტორი **ს. ა. ლოსევი**, სსრ კავშირის სახტელერადიოს თავმჯდომარე **ა. ნ. აქსიონოვი**, გაზეთ „იზვესტიას“ მთავარი რედაქტორი **ი. დ. ლაპტევი**, ახალი ამბების სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარე **ვ. მ. ფალინი**, სსრ კავშირის გამსახკომის თავმჯდომარე **მ. ფ. ნენაშევი**.

არჩეულია აგრეთვე გამგეობის სამდივნო.

გაიმართა ცენტრალური სარევიზიო კომისიის პირველი სხდომა. მის თავმჯდომარედ აირჩეულია გამომცემლობა „სოვეტსკაია როსიას“ დირექტორი **ვ. ი. ნოვიკოვი**.

(საკდესი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

პედაგოგებისა და აღმზრდელებისათვის ზრუნვით

ოგანოდ საბანმანათლებლო და ...ფესიული სკოლის რეფორმის ...ბულებული განხორციელება ...ულად არის დაკავშირებული ...ს მატერიალურ-ტექნიკური ბა...ს სრულყოფაზე, პედაგოგების ...ომისა და ყოფა-ცხოვრების სა...ნადო პირობების შექმნაზე. სა...ველოს სსრ უმაღლესი საბჭ...ს სხალხო განათლებისა და ...ეტურის კომისიის სხდომაზე ...ა მონაწილეებმა განიხილეს ...ეტის სახალხო დეპუტატთა ...ონული საბჭოს აღმასკომის ...ობა, რომელსაც იგი ეწევა ...ალხო განათლებისადმი ხელმძ...ველობის, პედაგოგთა კადრებ...ბ მრომისა და საყოფაცხოვრებო ...რობების გაუმჯობესებისათვის სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

აღინიშნა, რომ ბოლო დროს რაიონში გაარემონტეს რამდენიმე ძველი სკოლისა და საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა და აიშენეს ბევრი ახალი. მაგრამ ზოგიერთი მათგანის სასწავლო-მატერიალური ბაზა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ბევრი სკოლამდელი დაწესებულება, საშუალო და რვაწლიანი სკოლა მოუხერხებელ, ამორტიზებულ შენობებშია, არა აქვს შესაბამისი ბაზა ყმაწვილი თაობის შრომითი აღზრდისათვის. განსაკუთრებით გაესვა ხაზი იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა კომპიუტერული ცოდნის უზრუნველყოფას.

სერიოზული ნაკლოვანებანია სოფლის მასწავლებელთა კომუნალურ მომსახურებაში. რაიონში, სადაც 990 პედაგოგი და აღმზრდელია, მათ შორის 146 განაწილებით ჩამოსული, ამ მიზნებისათვის ბიუჯეტში გამოყოფილი სახსრები ხარჯების დადგენილ ნორმებზე ნაკლებია. უფრო მეტიც, 1987 წლის იანვრამდე უფასო კომუნალური მომსახურებით საერთოდ არ სარგებლობდნენ სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელები და აღმზრდელები. საკმარისი ყურადღება არ ეთმობა პედაგოგთა ბინებით უზრუნველყოფას, მათი დასვენების ორგანიზაციას.

კომისიამ აღნიშნა: ესა და სხვა ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ სახალხო დეპუტატთა რაიონული და სასოფლო საბჭოების აღმასკომები, სახალხო განათლების განყოფილება, განათლების მუშაკთა პროფკავშირის რაიკომი, განათლების მუშაკები არ იჩენენ სათანადო მომთხოვნელობასა და პრინციპულობას, ვერ სწყვეტენ ამ სფეროში არსებულ პრობლემებს. მიღებულ დადგენილებაში რეკომენდებულია უმოკლეს დროში აღმოიფხვრას დარღვევები.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა თ. ნ. ლოლაძემ.

სხდომაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე თ. შ. კაბულოვი და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ა. კვარაცხელია. (საქინფორმი).

ინოგანდ

...ეროვნული ...ბლიკაში ...ბ ...ბ ...ბ



ახალი ქართული პროფესიული მუსიკის ისტორია ისევ ბევრად სულ რამდენიმე ათეული წელია. კიდევ უფრო ხანმოკლე მონაკვეთში განვითარდა მისი ადგილი ეროვნული დონის ერთ-ერთი უმთავრესი განმსაზღვრელის — ქართული სიმფონიზმის ძირითადი ეტაპები.

მხოლოდ სიმფონიზმის, მუსიკალური აზროვნების ამ სპეციფიკური თვისების ეროვნულ ნიადაგზე დამკვიდრებთან გაეხსნა გზა ქართულ მუსიკას, რათა წიაღისეულ ტრადიციებიდან თანამედროვე ზოგადსაკაცობრიო მუსიკალური კულტურის გამოცდილების დონეზე გამოსულიყო. ამ ურთულესი პროცესის განხორციელება რჩეულებს ხვდათ წილად. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა 50-60-იან წლებში ასპირანტზე გამოსულ კომპოზიტორთა თაობის წარმომადგენლებს, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველი სულხან ნასიძეა.

შედარებით გვიან ეზიარა იგი კომპოზიციას. პროფესორ იონა ტუსკიას კლასში 1950 წელს, კონსერვატორიის საფორტეპიანო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მოვიდა. მოვიდა სოლიდური საშემსრულებლო გამოცდილებით, ჩამოყალიბებული გემოვნებით, კლასიკური მემკვიდრეობის საფუძვლიანი ცოდნით. ღვაწლმოსილი აღმზრდელის ხელმძღვანელობით დამოკიდებულება კლასიკური ტრადიციებისადმი გაფართოვდა თანამედროვე საბჭოთა მუსიკის სერიოზული გაცნობით, გამოიკვეთა შემოქმედებით ძიებათა ეროვნული მიზანსწრაფვა. პირველივე ნაწარმოებებიდან მისი შემოქმედების ორ მთავარ მახასიათებლად იქცა პროფესიული კომპეტენტურობა და ეროვნული საწყისი. ახალგაზრდა კომპოზიტორის

შთაგონებული შემოქმედი

სტილური თვისებათა ჩამოყალიბება მიმდინარეობდა თითქოსდა გარეგნულად შესაჩნევი ნახტომების გარეშე: ორი საფორტეპიანო კონცერტი, საფორტეპიანო ტრიო, პირველი და განსაკუთრებით მეორე სიმფონია. აქ თანმიმდევრულად გამოვლინდა ავტორისეული ჟანრულ-ინტონაციური დამოკიდებულება, წარმოჩნდა წამყვანი სახე — ახალგაზრდა, მისი თანატოლი თანამედროვე ადამიანი, მოკლებული იმ დროისათვის ჩვენს მუსიკაში გავრცელებულ ზეაწეულ პათოსსა და ზერელობას. აქედან იშვა მუსიკალური თხრობის თავისებური თავშეკავებული მანერა, რომელშიც რომანტიკული მგზნებარების ადგილს იკავებს იდუმალი ჭვრეტა, ხოლო ენებათა ღელვა ემორჩილება გონივრულ განსჯას...

ეს პერიოდი, 60-იანი წლების დამდეგი, მოჰყვარებული ინფორმაციის დროა. მუსიკალური გამომსახველობის მკვეთრი განახლების დაფუძვებელმა პროცესმა ქართული მუსიკის წინაშე მწვავედ მტკიცდება პირველ სიმფონიად კვარტეტში, ვოკალურ ციკლში „ქართული ხალხური პოეზიიდან“ და განსაკუთრებით მესამე („კამერული“) სიმფონიაში. პროზისა და პოეზიის შეჯაზე შექმნილ ამ უკანასკნელ ნაწარმოებში განსაკუთრებული ძალით წარმოჩნდა არა მხოლოდ საქართველოს მთის ფოლკლორის პირველქმნილი კედამამოსილებით გასხივოსნებული ინტონაცია, არამედ ავტორის მიერ ამ ინტონაციისადმი ახალი სახოვანი და დრამატურგიული ფუნქციის მინიჭება. ხალხური პირველწყაროო ნაწარმოების მთელი სტრუქტურის საწყის წყაროდ იქცეგა. ამ ნაწარმოებებიდან მოყოლებული კომპოზიტორის შემოქმედებას კიდევ ერთი თვისება ახასიათებს — ჟანრულ-ინტონაციური დამოუკიდებლობას ემატება სტრუქტურული აზროვნების სრული თავისუფლება, მასალის დამუშავების საკუთარი პრინციპები, ანუ ყალიბდება სიმფონიზმის თვითმყოფი კონცეფცია, რაც მომდევნო ექვს

გაიხარეს პატარეებმა

ჯორჯოლიასათვის სტუმრობა ჩვეულებრივი ამბავია. არც თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართული თეატრის რეჟისორის თანაშემწის ზურაბ ქალიაშვილის სტუმრობას გაუოცებია ვინმე. საოცარი ის იყო მხოლოდ, რომ ეს მოუსვენარი ხასიათის ახალგაზრდა არაფრით არ ჰგავდა სტუმარს. დასასვენებლად არც იცლიდა; პარტიის ბორჯომის რაიკომიდან კულტურის განყოფილებაში მიდიოდა, კულტურის სახლიდან სკოლებისაკენ მიიჩქაროდა, მერე პროფტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებსაც ჩამოუვლიდა და ნიადაგს ამზადებდა თოჯინებისა და მარიონეტების თეატრის შექმნისათვის.

მალე აიყოლია შემოქმედებითი ახალგაზრდობა: ნანა ლომსაძე და მიხეილ მიკირტიანი, მალხაზ მელიქოვი, მაია უთმელიძე, მადონა კობახიძე, გურამ მელიქიძე, გენადი ფილიპეი, ნანა სანდროსოვი, ლალი ჩინჩალაძე და სხვები. მათ ძალიან უყვართ ხელოვნება, თეატრი.

მერე ყველაფერი თავისით აეწყო.

ამ საქმის თაოსანმა რეჟისორმა დრეგებთან ბორჯომის №7 პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში დაიდო ბინა. იქვე გამოინახა მცირე დარბაზიც თავდაპირველი რეპეტიციებისათვის. საჭირო იყო პიესა. ამაში კი ახალგაზრდა პიესი მ. გონაშვილი დაეხმარათ — მან შექმნა კომედია „ცია, ოცნება და ცირკი“. მუსიკა კომპოზიტორმა ა. რაქვაიშვილმა დაწერა. ი. ქაადეგ მხატვრულად გაფორმა სპექტაკლი, ქორეოგრაფია კი რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს ს. ვეკუას ეკუთვნის. სპექტაკლს ახმოვანებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ჯ. მაჯარაძე, თბილისის სახელმწიფო თოჯინების ქართული თეატრის მსახიობები მ. წიკლაური და გ. ზარიძე.

ახლადდაბადებულ დიდი დახმარება გაუწიეს თბილისის თოჯინების სახელმწიფო ქართულმა და რუსულმა თეატრებმა, სადაც დაიბადნენ სპექტაკლის გმირები — ცია და მასარა, ლამაზი ლურჯა და სხვები. მათ ხელი გაუმართეს საჭირო ინვენტარით. თოჯინების სახელმწიფო ქართულმა თეატრმაც შეფობა ითავა.

თავიდან ყოველი წვრილმანიც კი სიძნელესთან და დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ რეჟისორის ნიჭს, დაუდეგარ ხასიათს და საქმის ფანატიკურ სიყვარულს წინ ვერაფერი გადაეღობა, და აი, მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების დროს ბორჯომის კულტურის სახლთან შეკრებული თავისებური მუსიკალური სცენარი დაიხახა.

ლიტერატურული პირველწყაროო უდევს საფუძვლად მეექვსე სიმფონიას — „პასიონეს“. ნაწარმოების პირველ და მესამე ნაწილში გამოყენებულია. ვაჟა-ფშაველას ლექსები. აქ ფიქრები სიკვდილსა და უკვდავებაზე, არა მარტო ბიძგად, არამედ თეატრალურ-სცენური ჟანრის ახლებური წაკითხვის საშუალებად იქცა. ადამიანური ვნებების, სიკვდილთან შერკინების თემა ვაჟკაცობისა და ეთიკური ძლიერების ჰიმნად იქცეგა. ამავე პრობლემებს, მაგრამ სხვა კუთხით და მეტი განზოგადებით ეძღვნება მეშვიდე სიმფონია — „დალაი“. მთაში გავრცელებული დატირების რიტუალის სახელწოდებით ავტორი მიგვანიშნებს პროგრამას, გვთავაზობს ემოციურ გასაღებს, განსაკუთრებულ ძალას, პაროდოქსს აღწევს აქ ტრაგიკული სიმძაფრე, მაგრამ კათარზისული ფუნქცია ენიჭება ულრეტლო ხმოვანებაში აყღერებულ ბავშვის ჰანგვით მარტივ თემას, რომელიც თითქოს მსოფლიო კატასტროფების მიუხედავად, კვლავ მოსული გაზაფხულის პირველ ენძელასავით სიცოცხლის მარადისობას აუწყებს.

სიმფონიური მუსიკა ძირითადი ჟანრია სულხან ნასიძის შემოქმედებაში. ცალკე აღსანიშნავია ავტორის მიერ საგუნდო ციკლად წოდებული, არსებითად კი საგუნდო სიმფონია „ვეფრტა“ (დ. ბერამიშვილის ლექსების მიხედვით, 1980 წ.). იგი ეროვნული მრავალხმიანობის სუნთქვით ნიკო სულხანიშვილის ტრადიციების აღორძინებად აღიქმება, უდიდეს ექსპრესიულ ზეგავლენას ახდენს მსმენელზე...

საკუთარი ინტონაციური სამყარო, ფორმის ქმნადობის პრინციპები და ჟანრული ხედვა გამოავლინა კომპოზიტორმა ეროვნული ტრადიციებით მდიდარ საკვარტეტო მუსიკაშიც. გრაფიკულად ძუნწი, მაგრამ მკაფიოდ მოაზროვნე მუსიკოსი — იგი ავტორია ოთხი კვარტეტის და საფორტეპიანო კვინტეტისა.

თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მის შემოქმედებაში საკონცერტო ჟანრმა — 3 საფორტეპიანო, სავიოლინო კონცერტი (მიძღვნილი მარინე იაშვილისადმი) და ორი ეგრეთ წოდებული „ორმაგი“, რომელთა შორის კონცერტი ვიოლინოსა და ჩელოსათვის ორკესტრთან ერთად მიეძღვნა ლიახა და ელდარ ისაკაძეებს.

ამ უკანასკნელში თავისებურად შეჯამდა კომპოზიტორის შემოქმედებისათვის ბევრი დამახასიათებელი თვისება.

ეროვნული კულტურის, მისი ტრადიციების განვითარებას ემსახურება ს. ნასიძე თავისი პედაგოგიური საქმიანობით (წლების განმავლობაში იგი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ხელმძღვანელობს კომპოზიციის კათედრას), მეცნიერული ნაშრომებით, პუბლიცისტური გამოსვლებით, არის საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ცნობილი საბჭოთა მუსიკათმცოდნე გივი ორჯონიკიძე თავის უკანასკნელ წიგნში ასეთ აზრს გვთავაზობს: „ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგია კულტურის მატება“. საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის, კომპოზიტორ სულხან ნასიძის ნაყოფიერი შემოქმედება და მოღვაწეობა ეროვნული კულტურის ექმიუტანელი მატებაა.

ევგენი მაჭავარიანი.

ყაბალეხი

სლავა მეტრეველი:

„ბორკელდო“, შენთან გვიჭირს!

სახელგანთქმულმა საბჭოთა ფორვარდმა სლავა მეტრეველმა ჩვიდმეტი წელი დაპყო დიდ ფეხბურთში. რვა წელიწადს იგი მოსკოვის „ტორპედოში“ გამოდიოდა, დანარჩენი — თბილისის „დინამოს“ კოლექტივში. მთელი მისი წარმატებანი მწვანე მოედნებზე ამ ორ სახელგანთქმულ კლუბთან არის დაკავშირებული.

— დიდ ფეხბურთში ცხრამეტი წლისა მოვედი. 1956 წელს კონსტანტინე ბესკოვმა, როცა ავტოქარხნელთა გუნდს ხელმძღვანელობდა, „ტორპედოში“ მიმიწვია, — იხსენებს სლავა მეტრეველი. — უმალ შინაურად ვიგრძენი თავი, უწინარეს ყოვლისა ვალენტინ ივანოვის გულისხმიერებისა და ზრუნვის მეობებით, რომელიც ჩემი მეურვე გახდა.

ს. მეტრეველი განსაკუთრებული გრძნობით იხსენებს 1960 წლის „ტორპედოს“. ავტოქარხნელთა დიდ გუნდში მაშინ თამაშობდნენ ცნობილი ოსტატები — ვალენტინ ივანოვი, ვიქტორ შუსტიკოვი, ნიკოლოზ მანოშინი, გენადი გუსაროვი, ვალერი ვორონინი...

— სამწუხაროდ, — თქვა სლავა მეტრეველმა, — ეს შესანიშნავი კოლექტივი მოკლე ხანში დატოვა ბევრმა წამყვანმა მოთამაშემ. მე, როგორც ცნობილია, თბილისის დინამოელი გავდი, ვალენტინ ივანოვი კი ფეხბურთელის კარიერის ბოლომდე „ტორპედოს“ ერთგული დარჩა.

მეტრეველმა აღიარა, რომ, როგორც გულშემატკივარი, იგი თავის სიმპათიებს უნაწილებს ორ გუნდს.

— უწინარეს ყოვლისა, ჩემი სიმპათია ეკუთვნის „დინამოს“. მაგრამ არ დავმალავ, „ტორპედოც“ ისევე ძალიან მიყვარს. დიდი უურადღებით ვადევნებ თვალს ივანოვის, როგორც მწვრთნელის საქმიანობას, მახარებს მისი აღსაზრდელების წარმატებანი.

რაც შეეხება თასის მფლობელთა თასის გათამაშების მორიგ საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩს საფრანგეთის „ბორდოსთან“, რომელიც 18 მარტს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართება, სლავა მეტრეველმა თქვა:

— „ტორპედოს“ ძალზე ძლიერი მეტოქე ჰყავს. ყველა ფეხბურთელი ჩინებულად არის მომზადებული ფიზიკურად და მაღალტექნიკურია, გუნდში ბევრია მსოფლიოში განქმული სპორტსმენი. განსაკუთრებით შთამბეჭდავად თამაშობს „ბორდოს“ შუა ხაზი, დაბეგენილი ტექნიკის მქონე დისპეტჩერის ტიგანას მეთაურობით. მაგრამ საფრანგეთის გუნდის თამაში იდეალური რადია, მას ხარვეზებიც აქვს დაცვის ორგანიზაციის საქმეში. ტორპედოელებს შეუძლიათ მოგებაზე თამაში. მათ უნდა გამოავლინონ თავიანთი საუკეთესო თვისებები. თუ რის უნარი აქვთ ტორპედოელებს, დავრწმუნდებიმარშან, როცა ბრწყინვალედ მოუგეს დასავლეთ გერმანიის მრისხანე კლუბს „შტუდგარტს“.

იმედი მაქვს, რომ ტორპედოელები გაამართლებენ თბილისელ გულშემატკივართა იმედებს და თავიანთ საუკეთესო მატჩს ითამაშებენ.

შ. ფალოლაშვილი,
საქინფორმის კორ.

ხვალ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე

აბა, თქვენ იცით!..

ევროპის საკლუბო გუნდების საპრესტიჟო ასპარეზობებში საბჭოთა კოლექტივების წარმატებებმა მონაწილეობამ (განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში. საკმარისია გავიხსენოთ კიევის „დინამოს“, მოსკოვის „ტორპედოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ არაკუ დიდი ხნის წინათ მოპოვებული შთამბეჭდავი გამარჯვებები) ჩვენი ფეხბურთის წარმომადგენლობა ევროპის ტურნირებში მაქსიმუმამდე გაზარდა: 1987 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ფეხბურთი ამ შეჯიბრებაზე წარმოდგენილი იქნება 6 საკლუბო გუნდით. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში როგორც ეს განპირობებულია თვით პრიზების სახელწოდებით იასპარეზებენ ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი, უეფას თასის გათამაშებაში კი მონაწილეობას მიიღებენ სხვა უძლიერესი გუნდები (4 კოლექტივი). განვლილი სეზონის შედეგების მიხედვით ევროპის ტურნირებში თამაშის უფლება მოიპოვეს კიევის „დინამომ“, მოსკოვის „დინამომ“, ლენინგრადის „ზენიტმა“, მოსკოვის „სპარტაკმა“, მოსკოვის „ტორპედომ“ და თბილისის „დინამომ“. ამრიგად, თბილისელები კვლავ გამოჩნდებიან ევროპის საფეხბურთო მერიდიანზე. ყოველივე ამის გახსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ **ხვალ თბილისში ევროპის თასების მფლობელთა თასის 1986-1987 წლების გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი გამართება მოსკოვის „ტორპედოსა“ და საფრანგეთის „ბორდოს“ შორის.** ახლა, ტორპედოელებმა ნახევარფინალის გზა რომ გაიკაფონ, უთუოდ უკეთესი სხვაობით უნდა გაიმარჯვონ (პირველი შეხვედრა „ბორდოსთან“ მათ 0:1 წაგებეს). ამგვარად, ისინი საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დგანან და, ცხადია, ძნელი ბრძოლა მოელით. არადა, ევროპის საკლუბო ტურნირების ყოველ მორიგ ეტაპში წარმატება ხომ მომავალ ტურნირებში ამა თუ იმ ქვეყნის გუნდების მონაწილეთა რიცხვის გაზრდას იწვევს. 1988-1989 წლების ციკლშიც რომ საბჭოთა ფეხბურთი ისევ 6 გუნდით იყოს წარმოდგენილი, საჭიროა „ტორპედომაც“ და კიევის „დინამომაც“ წლევანდელ დასკვნით ეტაპზე რაც შეიძლება საუკეთესო შედეგები მოიპოვონ.

როგორც ზედავთ, მოსკოვის „ტორპედოს“ ახლა მარტო თავისი, ლოკალური ამოცანა კი არა აქვს გადასაწყვეტი, არამედ მის მიერ ამ ეტაპზე მოპოვებულ შედეგებს გაკვეთილწილად ევროპის ტურნირებში საბჭოთა ფეხბურთის სამერმისო წარმომადგენლობაზეც შეუძლია მოახდინოს გავლენა. ერთი სიტყვით, ხვალ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ტორპედოელებს ძნელი და საპატიო ამოცანა ექნებათ გადასაწყვეტი.

„ცხადია, ფეხბურთის ქომაგები თანადგომას გაგიწევენ, მაგრამ ისიც არ არის საკამათო, რომ ტორპედოელებს თავად მართებთ ფხის გამოჩენა“, — თქვა გუნდის მწვრთნელმა ვალენტინ ივანოვმა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბრისას და ამასთან ერთად დიდი სიყვარულით გაიხსენა თავისი ძველი მეგობრები სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი და გივი ჩოხელი. გაიხსენა ტაშკენტში „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ დამატებითი მატჩი, რომელმაც თბილისელებს პირველად მოუპოვა ოქროს მედლები... მეტოქენი ვიყვნით მოედანზე, მოედნის გარეთ კი მეგობრები“.

ტორპედოელები თბილისში 14 მარტს ჩამოვიდნენ და სპეციალური პროგრამით შეუდგნენ მზადებას საფრანგეთის „ბორდოსთან“ მატჩის წინ. ვ. ივანოვმა განაცხადა, რომ „ჩვენ აქ ვარჯიშს შესანიშნავი პირობები შეგვიქმნეს, უკვე მატჩამდე ვიგრძენით ჩვენდამი ტრადიციულად მეგობრული და კეთილმოსურნე დამოკიდებულება და ვეცდებით თავი არ შევირცხვინოთ ფეხბურთის ქართველი ქომაგების წინაშე. როცა სამხრეთში სათამაშო მოედნის არჩევანი დადგა ჩვენს წინაშე, ხელმძღვანელებმაც და ფეხბურთელებმაც ერთსულოვნად თბილისი ვამჯობინეთ. თავვარია, ის ერთი ბურთი, რომელიც ფრანგებმა საკუთარ მოედანზე გაგვიტანეს, არა მარტო გავქვითათ, არამედ დამატებითიც გავიტანოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მომდევნო ტურში თამაშზე ფიქრი“.

ტორპედოელთა ვარჯიშებზე დამსწრე ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ გასაუბრებოდნენ ფეხბურთელებს და ისინი მარტო მომავალ მატჩზე როდი ლაპარაკობდნენ. ბევრმა მათგანმა ისიც თქვა, თუ როდინ შეწუხდნენ საქართველოში სტიქიით გამოწვეული უბედურების გამო და აღნიშნა, რომ ალტაკელები არიან სტიქიასთან ბრძოლაში ხალხის ერთსულოვანი და მედგარი მოქმედებით. ამიტომაც ამბობდენ ტორპედოელები, ვეცდებით კარგი თამაშით გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება ჩვენი ქომაგებისადმი.

გუშინ ტორპედოელთა მეტოქეები, ფრანგი ფეხბურთელებიც ჩამოვიდნენ თბილისში და ხვალინდელი მატჩისათვის სამზადისში არიან. ვინ — ვის? აი, კითხვა, რომელსაც პასუხს ხვალინდელი მატჩის შედეგი გასცემს. ცხადია, მკვიდრი მასპინძლები ჩვენი მოსკოველი მეგობრების გულშეტრვალე ქომაგები და გულშემატკივრები იქნებიან, მაგრამ მთავარია კარგი და გააზრებული თამაში, თამაში ისეთი, როგორიც საბჭოთა ფეხბურთს შეშვენის.

ს. დევიძე.

სატურნირო ორბიტა

ფუალხტომა. მოსკოვში დამთავრდა „გაზაფხულის მერცხლებად“ წოდებული ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება. კომკიდან ხტომაში შთამბეჭდავად იასპარეზა თბილისელმა **გიორგი ჩოგოვაძემ** და პირველ ადგილს დაეუფლა. ქალთა შორის უძლიერესი იყო მოსკოველი ელენე მირონშინა.

ფეხბურთი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ორი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმით (4-4) ლიდერობენ „სპარტაკი“ და „არარატი“. „ნეკარს“, „ცსკა-ს, და მოსკოვის „დინამოს“ 3-3 ქულა აქვთ, „მეტალისტს“ — 2, მინსკის „დინამოს“, „ნეფთჩის“, „ყაირათს“, მოსკოვის „ტორპედოს“ და „ზენიტს“ — თითო ქულა. თბილისის „დინამომ“ და „გურიამ“ თითო მატჩი გამართეს და ორივე დამარცხდა. რაც შეეხება კიევის „დინამოს“ ჯერ არ უთამაშია. მესამე ტურის მატჩებს ჩვენი რესპუბლიკის გუნდები სტუმრად გამართავენ. 21 მარტს „გურია“ ხარკოვში შეხვდება ადგილობრივ „მეტალისტს“, „დინამო“ კი 22 მარტს მოსკოვში „ტორპედოსთან“ ითამაშებს.

კალათბურთი. გთავაზობთ ეაეთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის „ფინალ-ფორი“. 16.35 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.45 — შვილსწავლეთ ინგლისური ენა. 17.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 17.25 — რეკლამა. 17.35 — მოსწავლეთათვის. „დიდი გზის დასაწყისი“. 18.15 — საქართველოს კომკავშარის XXXIII ყრილობის ტრიბუნა. 18.30 — დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისთვის — „მზე ჩემს მამულში“. 18.45 — „წუთები, რომლებიც გვახსოვს“ — ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ლ. ბოკერია. 20.00 — მოამბე. 20.35 — „განა ეს ნამეცებია?“. 21.00 — მუსიკალური გასართობი პროგრამა. 21.50 — ჩვენი საუკუნე გიცავს უაზლესი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 მხატვრული ფილმი „პრომეთეოსი“.

სტიქია და ადამიანები

გ თ ხ ო ვ თ მიმსახურეთ...

(წერილების მიმოხილვა)

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ახლახან მოსულ ათობით წერილს ლაიტმოტივად გასდევს ერთი რამ — სტიქიასთან ბრძოლა. ქვეყნის, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის მცხოვრებლები თავიანთ მხარდაჭერას სთავაზობენ, წერენ, თუ რა წვლილი შეიტანეს სახალხო მეურნეობის დაზიანებული ობიექტების აღდგენაში, ადამიანები კი, რომლებმაც სტიქიის შემოტევა გადაიტანეს, მადლობას უხდიან მათ დიდი და ყოველმხრივი დახმარებისათვის.

...სხვადასხვა სიტყვებით, მაგრამ ერთზე, მთავარზე, რომ მზად არიან დაზარალებული რაიონების მცხოვრებლებს მისცენ თავშესაფარი, იშვილონ დაობლებული ბავშვები, წერენ ლენინგრადელი ვ. გრიგორიევა, ყარაღანდელი ე. გრაუფინში, ზურმანსკელი ნ. ზოლკინა, ერევანელი გ. თევოსიანი, ლიტვის ქალაქ შაულიაის მცხოვრები ბ. კიბარტენე, სვერდლოვსკელი ლ. კატაევა, როსტოველი ს. ბალაშოვა, ტულის ოლქის ქალაქ ალეკსინოს ალექსეევების ოჯახი, ყაზახეთის ქალაქ გურიევის მცხოვრენი ლეკენინები, არხანგელსკელი შულიაკოვსკები, იაროსლავლელი მოროზოვები, ეიტომირელი ულინსკები, კრასნოიარგელი ნიკიფოროვები და მრავალი სხვა.

ადამიანებს მიაჩნიათ, რომ მათი უშუალო ვალია ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებლებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა აღდგენითს სამუშაოებში. „სამოცი წლისა ვარ, პენსიონერი, მაგრამ თავს ჩინებულად ვგრძნობ, — წერს ირკუტსკის ოლქის ქალაქ ახვარსკიდან ს. ვერდი-ოღლი. — მეორე კლასის შოფერი ვარ, სამედიცინო შემოწმება გავიარე...“ მინსკელი ნ. კამენცი იტყობინება, რომ სტუდენტურ სამშენებლო რაზმში დაიუფლა შენებლის პროფესიებს, აქვს ბელორუსიაში მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობის გამოცდილება. დონისროსტოველი ინჟინერ-მშენებელი ვ. მირსოიანოვი კი, როცა თავის სამსახურს გვთავაზობს, დასძენს, რომ იცის ქართულად წერა-კითხვა და ეს დაეხმარება უკეთ იმუშაოს დაზარალებულ რაიონებში. სტიქიის განმეორებითი შემოტევის შემთხვევაში თავისი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებას გვთავაზობს აზერბაიჯანის ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის ფსიქიატრიის კათედრის გამგე, პროფესორი ჯ. ჰასანოვი.

კიროვოგრადის ოლქის ქალაქ სვეტლოვოდსკის მცხოვრები ს. პოპოვი, კრასნოდარის მხარის დაბა ეკონომიჩესკის მშრომელი პ. რუბლენკო, პერმელები გ. როგალნიკოვი და ვ. ვლასოვა, ორენბურგის ოლქის ქალაქ ორსკის მცხოვრები ვ. იურჩენკო ითხოვენ გაგზავნონ ნებისმიერ უბანზე, რათა თავიანთი შეძლებისდაგვარი წვლილი შეიტანონ საქმეში.

კვლავ მოდის სახსრები დახმარების ფონდში. შეგროვებული ფული დახმარების ფონდში გადარიცხეს ტაჯიკეთის ლენინაბადის ოლქის ნაუს რაიონის № 10 რვაწლიანი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. წერილს, რომელიც გზავნილებას ახლავს, ხელს აწერს 32 კაცი. აი, რას იწერება მოსკოველი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ბავშვთა ფსიქიატრიის კათედრის ასისტენტი მ. ბუიანოვი, რომელმაც ახლახან მოამზადა გამომცემლობა „მერანში“ რუსულ ენაზე გამოსაცემად ა. დიუმას წიგნის „კავკასიის“ სრული ტექსტი და ჰონორარი გადასცა „დიუმას ფონდში“, რომელიც მისი ინიციატივით შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში:

„ისტორიულ-ლიტერატურული გატაცების გარდა, მე, როგორც ბავშვთა ექიმი, ვწერ წიგნებს, რომლებიც ხშირად ითარგმნება ჩვენი ქვეყნის ხალხთა ენებზე. კერძოდ, 1987 წელს თბილისში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ უშვებს ჩემს წიგნს „არაჩვეულებრივი ხასიათები“, ხოლო „განათლება“ — „ბავშვს მშობლის სიყვარული სჭირდება“. ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ დახმარების ფონდში. თუკი რამეში გამოვადგები გამძვინვარებული სტიქიის მსხვერპლთ, გთხოვთ მიმსახურეთ“.

„ჩემთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მძიმე წუთებში ვიყო ქართველი ამხანაგების გვერდით, იწერება ქალაქ კურგანიდან პარტიის პირველი მაისის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი ლ. გლუშჩენკო. — ერთხელ მე და ჩემი ახლობლები ბედმა დაგვაკავშირა უბრალო ქართულ ოჯახთან, რომელშიც 12 ბავშვი იყო. ამ დიდი ოჯახის დედას დღესაც დედას ვეძახი. გთხოვთ გამგზავნოთ ადგილებში, სადაც უბედურებამ თქვენს რესპუბლიკას განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა. ყოველგვარი სამუშაოსათვის მზად ვარ“.

— ვიზიარებ უბედურებას, როგორც ქართველ ხალხს დაატყდა თავს, — ნათქვამია აზერბაიჯანის კომპარტიის აღდამის რაიკომის პირველი მდივნის ს. მურთუზაევის დეპეშაში. — მადლობას მოვახსენებ მომძე რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მამედოვების დიდ ოჯახზე ზრუნვისა და უურადღებისათვის, რომელსაც უბედურება დაატყდა თავს. ხუთი შვილის აღმზრდელი ადამიანებისათვის საქართველოს პარტიულ ორგანიზაციასთან და პრესის მუშაკებთან მუდმივი კავშირი დიდი ნუგეშია ამ ტრაგიკულ დღეებში.

„ეს პრობლემა: „ტრადიცია თუ თანამედროვეობა?“.

ს. ნასიძის შემოქმედება უგულებელყოფს ალტერნატივას — ტექნოლოგიურ სიახლეებში საფუძვლიანად გარკვეული, იგი იძენს თანამედროვე გამომსახველ საშუალებათა საკუთარ წყაროს... ეროვნული ტრადიციის ცხოველმყოფელ ძალაში.

მის ორატორიაში „სამშობლო ჩემო“ (1966 წ. ხალხური ლექსების მიხედვით), პირველად გამოჩნდება თვისებები იმ ექვმიუტანელი თვითმყოფობისა, შემდგომ რომ განვითარდება და განსიმფონიაში სხვადასხვა ძალით, მაგრამ თანმიმდევრული კანონზომიერებით განმტკიცდება. აღსანიშნავია, რომ სწორედ მესამე („კამერული“) სიმფონიიდან მოყოლებული, შესამჩნევად ღრმავდება კომპოზიტორის ინტერესი ამ თემისადმი, კვლავ ორატორიასა და ვოკალურ ციკლში პირველად რომ გამოიკვეთა — ეს არის ფიქრი ადამიანის ერთ უმთავრეს ცხოვრებისეულ ანტითეზაზე — სიცოცხლესა და სიკვდილის შეურიგებლობაზე, ადამიანის სულიერი სამყაროს არსის წვდომის ცდა. ხალხური პოეზიიდან მომდინარე ეს

შთაგონებული შემოქმედი

მტკიცდება პირველ სიმფონიად კვარტეტში, ვოკალურ ციკლში „ქართული ხალხური პოეზიიდან“ და განსაკუთრებით მესამე („კამერული“) სიმფონიაში. პროზისა და პოეზიის შეჯაზე შექმნილ ამ უკანასკნელ ნაწარმოებში განსაკუთრებული ძალით წარმოჩნდა არა მხოლოდ საქართველოს მთის ფოლკლორის პირველქმნილი კედამამოსილებით გასხივოსნებული ინტონაცია, არამედ ავტორის მიერ ამ ინტონაციისადმი ახალი სახოვანი და დრამატურგიული ფუნქციის მინიჭება. ხალხური პირველწყაროო ნაწარმოების მთელი სტრუქტურის საწყის წყაროდ იქცეგა. ამ ნაწარმოებებიდან მოყოლებული კომპოზიტორის შემოქმედებას კიდევ ერთი თვისება ახასიათებს — ჟანრულ-ინტონაციურ დამოუკიდებლობას ემატება სტრუქტურული აზროვნების სრული თავისუფლება, მასალის დამუშავების საკუთარი პრინციპები, ანუ ყალიბდება სიმფონიზმის თვითმყოფი კონცეფცია, რაც მომდევნო ექვს



„გვითხარით ჩვენ—ჩვენ ვეტყვით ყველას“

საქართველოს სარეკლამო საagენტოს ეს დევიზი ლაიტმოტივად გაისმა თბილისში გამართულ „რესპუბლიკურ სემინარზე „რეკლამის სოციალურ-ეკონომიკური როლი და მისი სრულყოფის გზები“.

სემინარი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ვ. მელქაძემ.

სემინარზე აღინიშნა, თუ რა დიდი სოციალური მნიშვნელობა ეკისრება სარეკლამო საქმეს, როგორც სოციალისტური ცხოვრების წესის, ჩვენი საზოგადოების ნამდვილ ღირებულებათა, საქონლისა და მომსახურების გონივრული აქტიურ საშუალებას. მაგრამ რეკლამის ეს ფართო შესაძლებლობანი ჯერ კიდევ სრულად როდი გამოიყენება. სარეკლამო საქმის ორგანიზაციის მიხედვით საქართველოს ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია, იმის მიუხედავად, რომ რესპუბლიკა ოდითგან განთქმულია თავისი მხატვრული ტრადიციებით, დიდი შემოქმედებითი პოტენციალით. სამწუხაროდ, ყოველივე ეს ჯერ კიდევ ვერ აისახა სარეკლამო საქმის განვითარებაში.

სემინარის მონაწილეთა აზრი საერთო იყო იმ მხრივ, რომ რესპუბლიკაში კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა რეკლამამ შეასრულოს თავისი ფუნქციები. მას ხომ წამყვან